

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

თამუნა ცეცხლაძე



## ციფრული ტექნოლოგიების როლი საბანკო სექტორის განვითარებაში

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლაშა ბერიძე,  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური

## ანოტაცია

ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ და ძლიერ რგოლს საბანკო სექტორი წარმოადგენს, მას ფრიად მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხში. საბანკო სექტორის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინოვაციები ციფრულ ტექნოლოგიებში. ნაშრომში დეტალურადაა განხილული ციფრული ტექნოლოგიის მნიშვნელობა როგორც საბანკო სექტორისათვის, აგრეთვე მოსახლეობის განვითარების საკითხში. ინოვაციების როლი საბანკო საქმიანობაში ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან რაღაც ახალის შექმნა ანიჭებს ერთ ბანკს უპირატესობას სხვა დანარჩენებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები რამდენიმე წელია ახდენენ ციფრული შესაძლებლობების პოპულარიზაციას, პანდემიამ ეს პროცესი გაცილებით დაჩქარა და უფრო თვალსაჩინო გახადა მისი დადებითი მხარეები. ბანკებისთვის ეს ცვლილებები ნიშნავს ციფრული სერვისების გაფართოების შესაძლებლობას და აგრეთვე დანახარჯების შემცირებასაც, რაც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთი დადებითი მხარეა. მსოფლიო, ტექნოლოგიების განვითარების მხრივ ყოველდღიურად სულ უფრო წინ მიიწევს, ძლიერი საბანკო სექტორი ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური ზრდის გასაღებია. ამ სფეროში პირველობის მოსაპოვებლად კომერციულ ბანკებს უწევთ მომსახურების ხარისხის უწყვეტი განვითარება, აგრეთვე პერსონალის კომპეტენციისა და საბანკო პოლიტიკის მუდმივი განვითარება ორგანიზაციული კულტურის ამაღლება, მომხმარებელისათვის გაუმჯობესებული ციფრული მომსახურების შეთავაზება. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს მზარდი ტემპი შეინარჩუნოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გზაზე, კომერციული ბანკები ინოვაციების ხარჯზე ახორციელებენ საბანკო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას, საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების გაფართოებას, მიწოდების მეთოდების დახვეწას, გრძელვადიანი ეფექტურობისა და ბიზნესის სტაბილურობის გაუმჯობესებას.

## Annotation

One of the main and strong system of the economy is the banking sector, it plays a very important role in the sustainable development of the country's economy. Innovations in digital technologies are a necessary condition for the sustainable development of the banking sector. The paper discusses in detail the importance of digital technology for both the banking sector and population development. The role of innovation in banking is very important, as creating something new gives one bank an advantage over the others. Although banks have been promoting digital capabilities for several years, the pandemic has accelerated this process by one hundred percent and made its pros more visible. For banks, these changes mean the possibility of expanding digital services as well as reducing costs, which is one of the advantages of using digital technologies. The world is advancing day by day in terms of technology development, strong banking sector is the key to stable economic growth of any country. In order to be a leader in this field, commercial banks have to continuously develop the quality of service, as well as the continuous development of staff competence and banking policy, raising the organizational culture, offering improved digital services to customers. As any state strives to maintain a growing pace on the path of innovative economic development, commercial banks at the expense of innovation improve the quality of banking, expand banking products and services, refine delivery methods, improve long-term efficiency and business stability.

## სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I - დიჯიტალური ეკონომიკის არსი.....	8
1.1 დიჯიტალური ეკონომიკის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში.....	8
1.2 ტექნოლოგიების ჩართულობა საერთაშორისო ვაჭრობაში.....	16
თავი II - საბანკო სექტორი და თანამედროვე ტექნოლოგიები.....	31
2.1 კომერციული ბანკების როლი ეკონომიკის განვითარებაში.....	31
2.2 ინოვაციების მნიშვნელობა კომერციული ბანკების საქმიანობაში.....	41
თავი III - ინოვაციური ბანკინგის როლი საქართველოში.....	50
3.1 ელექტრონული საგადასახდებლო სისტემები და ელექტრონული ფული .....	50
3.3 ინოვაციური ბანკინგის პერსპექტივები Covid-19 პანდემიის პირობებში .....	58
დასკვნა.....	64
გამოყენებული ლიტერატურა .....	66

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** საბანკო სექტორს ქვეყნისათვის და განსაკუთრებით ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, ვინაიდან იგი მდგრადი ეკონომიკური განვითარების ყველაზე ძლიერი ბერკეტია. იგი ერთგვარი შუამავალია კრედიტორსა და მსესხებელს შორის, ისინი ეწევიან ყველაზე მრავალფეროვან საქმიანობას, როგორც საოპერაციო ისე საკრედიტო კუთხით. კომერციული ბანკების გამართული საქმიანობა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. საბანკო სისტემის მდგრადობისა და ფინანსური სტაბილურობის პრობლემების მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კოვიდ-პანდემიის დროსაც და ბანკების ინოვაციური ტექნოლოგიებით მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობაში ვირუსის გავრცელების საშიშროების შემცირების კუთხით, რაც ეკონომიკას აძლევს საშუალებას მოკლე დროის განმავლობაში დაუბრუნდეს კალაპოტს.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კომერციული ბანკები სიმდიდრის დაცვითა და მეორეს მხრივ საზოგადოებრივი განვითარებისათვის საჭირო რესურსის მიწოდების გზით გადამწყვეტ როლს ასრულებენ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების საკითხში. მოსახლეობაში არსებული თავისუფალი ფულადი საშუალებების აკუმულირების გზით დეპოზიტების სახით შემდგომში მოზიდულ სახსრებს ხელმისაწვდომს ხდიან ბიზნეს სუბიექტებისათვის.

**კვლევის მიზანია** გამოვლენილი იქნას საბანკო სექტორის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხში, ხოლო **ამოცანაა** წარმოაჩინოს ინოვაციების როლი და მნიშვნელობა არამარტო საბანკო სექტორის განვითარების ჭრილში, არამედ მთლიანად მოსახლეობისა და ქვეყნის დადებითი მიმართულებით წყევანის საკითხში.

**კვლევის საგანი.** წარმოადგენს ინოვაციური ტექნოლოგიები, ინოვაციების როლი ეკონომიკისათვის, საბანკო სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების

საკითხში, ინოვაციების მნიშვნელობა საბანკო საქმიანობაში, ციფრული კომერცია და მისი მზარდი ტემპი.

**კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები.** რაც შეეხება ნაშრომში გამოყენებულ კვლევის მეთოდებს, გამოყენებული იქნა ანალიზის, სტატისტიკური დაკვირვებისა და შედარების მეთოდები. კვლევაში გამოყენებული საინფორმაციო ბაზა მოცავს: სხვადასხვა უცხოურ საიტებზე განთავსებულ სტატიებს, ეროვნული ბანკის სტატისტიკურ მონაცემებს, საქართველოს ეროვნული ბანკის კანონს კომერციული ბანკების შესახებ, ინტერაქტიულ სტატისტიკებს, კომერციული ბანკების პილარ 3-ის ანგარიშგების ფორმებს.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომის პირველ თავში განხილულია ციფრული ეკონომიკის არსი, ის თუ რას წარმოადგენს დიჯიტალ ეკონომიკა და მისი მნიშვნელობა მსოფლიოსათვის, აგრეთვე განვითარების პერსპექტივები უახლოეს მომავალში. ამავე თავში საუბარია ციფრულ კომერციაზე, მის მნიშვნელობაზე განვითარების სწრაფ ტემპზე და პანდემიის პერიოდში მასზე გაზრდილ მოთხოვნაზე.

მეორე თავში განხილულია კომერციული ბანკების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ის თუ რის სტიმულირებას ახდენს კომერციული ბანკი თავისი საქმიანობით და რომელი სფეროს განვითარებას უწყობს ხელს დაკრედიტების გზით და რა შედეგებამდე მიდის ქვეყნის ეკონომიკა კომერციული ბანკის ხელშეწყობით. აგრეთვე მეორე თავში საუბარია ინოვაციების მნიშვნელობაზე კომერციული ბანკების ჭრილში.

რაც შეეხება მესამე თავს, აქ განხილულია ელექტრონული საგადასხდელი სისტემის დადებითი მხარეები, ციფრული ფულის დანერგვის მაგალითებია მოყვანილი და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითია მოყვანილი, კერძოდ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული წამახალისებელი რეფორმები ელექტრონული საგადასახადო სისტემის პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით. აგრეთვე გაკეთებულია მიმოხილვა ინოვაციური ბანკინგის პერსპექტივებზე პანდემიის პირობებში.

დასკვნის სახით გადმოცემული და შეჯამებულია ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა ქვეყნისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. კვლევის შედეგების შეჯამების ხარჯზე შესაძლებელი ხდება დასკვნების გამოტანა ინოვაციური ბანკინგის როლზე მსოფლიოსათვის, ზოგადად ინოვაციების არსზე, კომერციული ბანკის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან რგოლზე დაკისრებული მოვალეობებისა და მნიშვნელობის არსზე.

## თავი I - დიჯიტალური ეკონომიკის არსი

### 1.1 დიჯიტალური ეკონომიკის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში

უპირველეს ყოვლისა, განვმარტოთ ის თუ რას წარმოადგენს დიჯიტალური ანუ ციფრული ეკონომიკა და ციფრული ტექნოლოგია. ციფრული ტექნოლოგია არის ინფორმაციის წარმოდგენა ბიტებში, მისი განმარტება მოიცავს ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, ავტომატურ სისტემებს, ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა თუ რესურსებს, რომლებიც ქმნიან, ამუშავებენ და ინახავენ ინფორმაციას. ციფრულ ტექნოლოგიაში ინფორმაცია გადაქცეულია ორობით სისტემაში, ანუ ნულოვანი ან ერთი, სადაც ყველა ბიტი ორი ამპლიტუდის სიმბოლოა.

ციფრული ეკონომიკა ეს არის ბიზნესპროცესების ის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით ანუ ციფრული ფორმატით. იგი ეკონომიკური საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება მილიონობით ადამიანს შორის კონტაქტის შედეგად ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით და რომლის დანიშნულებასაც ბიზნესი წარმოადგენს. ციფრული ეკონომიკის ხერხემალი ჰიპერკავშირობაა, ანუ ადამიანები, ორგანიზაციები და მანქანები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ინტერნეტის, ქსელური მოწყობილობებისა და კომპიუტერების საშუალებით. საუკუნე რომელშიც ჩვენ დავიბადეთ და ვცხოვრობთ სწორედ რომ ინტერნეტის ეპოქადაა წოდებული. დაფიქრებულხართ კი იმაზე, თუ როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება რომ არა ინტერნეტი და მისი შესაძლებლობები?! ეს არის საშუალება, რომელიც ყოველდღიურად გვიზოგავს დროს, ენერგიას და თუნდაც გადააგილების დანახარჯებს, ეს ყველაფერი კი ღილაკზე ერთი თითის დაჭერით ხდება. ციფრული ეკონომიკის წარმოშობამ ფუნდამენტურად შეცვალა შეხედულება ბიზნესსაქმიანობასა და ურთიერთობების შესახებ.<sup>1</sup>

დასავლეთში ეს ტერმინი გაჟღერდა დონ ტაპსკოტის 1995 წელს გამოცემულ წიგნში, „ციფრული ეკონომიკა: დაპირება და საფრთხე ქსელური დაზვერვის ხანაში“. ეს

---

<sup>1</sup> article, „**what is digital economy?**“, <https://www2.deloitte.com/mt/en/pages/technology/articles/mt-what-is-digital-economy.html> , checked: 01.08.2021



იყო პირველი წიგნი, სადაც განიხილებოდა, ის თუ როგორ შეცვლიდა ინტერნეტი ბიზნესსაქმიანობას.

ამრიგად, ციფრული ეკონომიკა ნიშნავს ეკონომიკის იმ სახეს, რომელიც დაფუძნებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე, ციფრული ფორმატის საკომუნიკაციო საშუალებებზე ისეთების როგორიცაა:

**ინტერნეტი** - ეს არის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი, რომელსა და საშუალებითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება და გაზიარება მთელ მსოფლიოში.<sup>2</sup>

**ინტრანეტები და კერძო ღირებულების დამატებითი ქსელები** - ეს არის დახურული ქსელი, რომელსაც ფლობს ორგანიზაცია, კოლეჯი, სკოლა და რომელსაც სარგებლობისათვის სჭირდება ავტორიზაცია, წარმოადგენს დახურულ ქსელს, რომელთან წვდომაც არ არის ფართო მოხმარების და ღია მსოფლიოსათვის;

**VAN** - მას მეორენაირად დამატებითი ღირებულების ქსელს უწოდებენ, ეს არის კერძო სერვისი რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას მონაცემების გაგზავნის საკითხში კოლეგებს შორის. იგი შექმნილია კომპანიებს შორის ელექტრონულ მონაცემთა გაგზავნის ხელშესაწყობად და რომლის მთავარი ფუნქციაა უსაფრთხოება, VAN- ით ხდება მონაცემთა დაშიფრვა, უსაფრთხო ელ. ფოსტის წარმოება და რეპორტიინგი.<sup>3</sup>

ციფრული ტექნოლოგია მოიცავს, კომპიუტერებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ციფრულ ეკონომიკას ზოგჯერ ინტერნეტი - ეკონომიკას, ახალ ეკონომიკას ან ვებ - ეკონომიკასაც უწოდებენ.<sup>4</sup> ამ ახალ ეკონომიკაში ციფრული ქსელი და საკომუნიკაციო საშუალებები ქმნიან გლობალურ პლატფორმას, რომელზეც ადამიანები და ორგანიზაციები, ურთიერთქმედებენ, ურთიერთობენ, თანამშრომლობენ და ახორციელებენ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას. მომხმარებლები და ფირმები,

<sup>2</sup> definition of word „internet”, <https://www.merriam-webster.com/dictionary/Internet>, last checked: 01.08.2021

<sup>3</sup> Definition of word „VAN” <https://www.investopedia.com/terms/v/value-added-network.asp> last checked: 01.08.2021

<sup>4</sup> Article „information in the digital economy “<https://www.ukessays.com/essays/information-technology/information-in-the-digital-economy-the-digital-information-technology-essay.php> last checked: 01.08.2021

რომლებიც ციფრულ პლატფორმაზე მუშაობენ, ციფრულ ფორმატში დამყარებული კონტაქტის საფუძველზე ახორციელებენ ფულად გარიგებებს, რომლის საგანსაც წარმოადგენს ციფრულ ფორმატში არსებული პროდუქტები, სიახლეები და ინფორმაცია, წიგნები, ჟურნალები, სატელევიზიო და რადიო პროგრამირები, ფილმები, ელექტრონული თამაშები, მუსიკალური CD-ები და პროგრამული უზრუნველყოფა. პროდუქციის ეს უზარმაზარი მასა ციფრული გარიგების გავლით ხდება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და უმარტივეს ცხოვრებას, არსებობას არამარტო მილიარდობით ადამიანს, არამედ ბიზნესსუბიექტებსაც.

დღესდღეისობით, გარდა იმისა, რომ ინტერნეტი ეს არის ნებისმიერ ჩვენთვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაციაზე უფასო წვდომის წყარო, იგი წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობის გლობალურ ვირტუალურ გარემოს, რომლის საშუალებითაც ბიზნესს შეუძლია წარმატებული საქმიანობა განახორციელოს მსოფლიოს შვიდივე კონტინენტზე. ბიზნესის ინტერნეტში წარმოება ნიშნავს მისი საქმიანი აქტივობის გარკვეული ნაწილის გადატანას ელექტრონულ ქსელში, კერძოდ ბიზნესსაქმიანობის ტრადიციულ მეთოდს ემატება დიჯიტალ ანუ ციფრული ეკონომიკა, რითაც ვიღებთ მოდერნიზებულ ანუ უფრო თანამედროვე, გაუმჯობესებულ ბიზნეს სუბიექტს, რომელიც ბაზარზე კურირებს არამარტო ტრადიციული უერთიერთობების ხარჯზე, არამედ ავლენს მის ვირტუალურ შესაძლებლობებს ციფრული კომერციის მეშვეობით. ყველასთვის ნაცნობია ის თემა თუ როგორ შეცვალა ინტერნეტმა ურთიერთობის გარემო და ხარისხი, უმეტესწილად დადებითი მიმართულებით, ეს ყველაფერი კი გაუმჯობესებული ეფექტიტ ისახება ბიზნესსაქმიანობაზე .

ამერიკაში მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დახურულ ქსელებში ჩნდება პირველი საბანკო ოპერაციების განხორციელება, რაც შეეხება ინტერნეტ-ბანკინგს, იგი მხოლოდ 90-იან წლებში იქნა გამოყენებული პირველად. როგორც ვხედავთ განვითარების ტემპი ამ მასშტაბის ინოვაციისათვის საკმაოდ ჩქარია, მე-20 საუკუნის მიწურულს კი ამერიკის ფედერალური ორგანოების მიერ გადასახადების 78% ელექტრონულად იქნა

განხორციელებული, ხოლო ციფრული ეკონომიკის განვითარების შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა მსოფლიო ბანკის მიერ 2001 წელს მიღებული კანონპროექტი „ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სტიმულირებასა და ხელშეწყობას. ელექტრონული კომერცის მზარდი ტემპი არის მამატაბური და შეუქცევადი, დღითიდღე სულ უფრო მეტი ადამიანი იძენს ინტერნეტის საშუალებით ნებისმიერ მისთვის სასურველ ნივთს, სულ უფრო მეტი ბიზნესი ცდილობს ჩაერთოს ელექტრონული გაყიდვების სისტემაში, ვინაიდან ცხოვრების ტემპი ისეთია, ყველა მივისწრაფვით რაც შეიძლება მეტი ეკონომია გავაკეთოთ დროის, რაშიც ონლაინ შესყიდვები ძალიან გვეხმარება, ამით ვზოგავთ არამარტო დროს არამედ ენერჯიას, არ ვდგავართ საათობის საცობში რომ მივიდეთ მაღაზიაში, არ ვდგავართ რიგში სალაროსთან, ბანკომატთან, ყველაფერი ხორციელდება ღილაკზე თითის ერთი დაჭერით. დამატებითი პლიუსი არის ისიც, რომ იქმნება ახალი სამუშაო ადგილებიც საკურიერო მომსახურების დარგში.

ციფრული ტექნოლოგია ავითარებს და ზრდის ბიზნესსაქმიანობას ონლაინ პლატფორმებისა და ვირტუალური ტექნოლოგიების საშუალებით. ბიზნესის თვალსაზრისით, იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო აღმოჩენას წარმოადგენს, რომელმაც თანდათან გარდაქმნა ტრადიციული ბიზნეს საქმიანობის მთელი პროცესი. რათქმაუნდა ამერიკა ამ კუთხით უსწრებს სხვა დანარჩენ ქვეყნებს, ვინაიდან ის უფრო მოქნილია ტექნიკური ცოდნის, ადაპტაციისა და კომპეტენტურობის თვალსაზრისით, შესაბამისად ამერიკა უფრო მეტად განიცდის პროგრესს. ციფრული ფორმატი მცირე და საშუალო ბიზნესს ეხმარება განვითარებასა და ზრდაში, აგრეთვე ახალი მომხმარებლების მოძიებაში.<sup>5</sup>

ციფრული ეკონომიკა მსოფლიოში სწრაფად ვითარდება. ეს არის ინოვაციების, კონკურენტუნარიანობისა და ზრდის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამომრავებელი ძალა და მას გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია და

---

<sup>5</sup> Article „the digital information economy“ <https://www.ukessays.com/essays/information-technology/information-in-the-digital-economy-the-digital-information-technology-essay.php> last checked:02.08.2021

ადამიანი იყენებს ტექნოლოგიებს კომპიუტერში არსებული მარტივი დავალებების შესასრულებლად, ციფრული ეკონომიკა ამაზე უფრო თანამედროვეა. ეს არ არის უბრალოდ კომპიუტერის გამოყენება ტრადიციულად, ამის ნაცვლად, ციფრული ეკონომიკა ორიენტირებულია ორგანიზაციისა და ინდივიდების შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. უფრო მეტიც, ტერმინი ასახავს ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას განსაზღვრული დავალებების შესასრულებლად და ისეთი საქმიანობის განსახორციელებლად, რაც წარსულში შეუძლებელი იყო. არსებული შესაძლებლობებისათვის გაუმჯობესება, მეტის გაკეთების საშუალება, განსხვავებული შაბლონით საქმის კეთება და ინოვაციური მეთოდით ბიზნესის კეთება, ეს ყველაფერი თავმოყრილია ცნებაში „ციფრული ეკონომიკა“.<sup>6</sup>

## *10 საუკეთესო მაგალითები ციფრულ ტექნოლოგიებზე:*

### **1. ვებგვერდი**

ვებგვერდები გვაწვდიან ყველა სახის ინფორმაციას და ისინი იქცნენ მომხმარებელთან კომუნიკაციის საუკეთესო და მარტივ საშუალებად. ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნაწილი, რომელსაც დღეს ადამიანები ყველაზე კარგად იყენებენ ეს არის ვებგვერდი, რომელიც ამარტივებს და დროის დაზოგვის საშუალებას იძლევა ამა თუ იმ მოთხოვნილების წარმოქმნის დროს. ის ბიზნესსუბიექტებისათვისაც ამარტივებს მომხმარებელთან ურთიერთობას, საჯაროდ განთავსებული ინფორმაციის ხარჯზე, რომლის ნახვაც ყველასთვის ხელმისაწვდომია, ბიზნესსუბიექტს ეძლევა საშუალება დაზოგოს დაქირავებული პერსონალის დრო, ამასთანავე ის თავიდან იცილებს ახალი კადრების აყვანით გამოწვეულ ფინანსურ დანახარჯებსაც.

### **2. ონლაინ ყიდვა-გაყიდვა**

---

<sup>6</sup> Article „digital economy“ <https://searchcio.techtarget.com/definition/digital-economy> last checked:02.08.2021

უამრავი ადამიანი გაზრდილი მოთხოვნების ფარგლებში მომხდარა მაღაზიაში დაუსრულებელ რიგებში, როცა შოპინგი უკვე სიამოვნება კი არა ტანჯვაა. 21 საუკუნის ყველაზე დიდი ფუფუნებაა ონლაინ ნივთის შეძენა, როცა სახლიდან გაუსვლელად, საცობში მოხვედრის გარეშე, სალაროსთან ურიგოდ გასვლით შეგიძლიათ შეიძინოთ სასურველი ნივთი იქნება ეს აქსესუარი თუ ტექნიკა, ჩასაცმელი თუ საკვებ პროდუქტი, კურიერი ამ ყველაფერს სახლში მოგიტანთ თქვენი დამატებითი ძალისხმევის გარეშე.

### **3. სმარტფონები**

ჭკვიანი მობილური ტელეფონების ამოქმედებამ გარდაქმნა საკომუნიკაციო სისტემები, როგორც ხმოვანი, ასევე მოკლექტექსტური კომუნიკაციის საშუალებით. დღეს არსებობს სმარტფონები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სახის ციფრულ ტექნოლოგიას, როგორცაა კალკულატორები, კამერები, რუკების შედგენა, კალენდარში შეხვედრის ჩანიშვნა, ონლაინ თარგმანი, სხვადასხვა საძიებო სისტემა, ფიზიკური აქტივობის მაჩვენებელი და სხვა უამრავი სასარგებლო ფუნქციის მატარებელია ერთი პატარა მოწყობილობა, რომლის გარეშეც ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია, აგრეთვე მისი ფუნქციების ჩამონათვალი დღითიდღე იზრდება და გაოცებას იწვევს ჩვენში. ნებისმიერი ჩვენგანი მუდმივად რაღაც ახალის მოლოდინშია, ნეტავ რას მოიფიქრებენ პროგრამისტები, რითი გაგვაოცებენ ამჯერად!!!

### **4. ბლოკჩეინის ტექნოლოგია**

ბლოკჩეინის ტექნოლოგია, ეს არის რამდენიმე დოკუმენტის ერთ ბლოკში გამაერთიანებელი სისტემა, იგი პირველად 1991 წელს, ჰაბერისა და სტორნეტის მიერ იქნა აღწერილი (Haber; Stornetta; 1991). 2008 წელს ბლოკჩეინის მეშვეობით აღირიცხებოდა კრიპტოვალუტის, ბიტკოინის ტრანზაქციები, რომელიც სატოში ნაკამოტოს მიერ იყო შექმნილი. ბლოკჩეინი შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც ჩანაწერების მუდმივად მზარდი სია, სადაც თითოეული ბლოკი შეიცავს წინა ბლოკთან დამაკავშირებელ ნიშანს და დაცულია კრიპტოგრაფიულად. ბლოკჩეინ ტექნოლოგია, მისი გამოყენების თვალსაზრისით კლასიფიცირდება სამი სფეროს მიხედვით:

- 1) Blockchain 1.0 - გამოიყენება ფინანსურ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ოპერაციებში, როგორცაა ფულადი გზავნილები, ციფრული გადახდის სისტემა.
- 2) Blockchain 2.0 - აქციების, აქტივებისა და ობლიგაციების საშუალებით განხორციელებულ ოპერაციებს მოიცავს.
- 3) Blockchain 3.0 - ამ ოპერაციების დანიშნულება ვრცელდება ისეთ სფეროებზე როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერება, რაც საბოლოო ჯამში იმას გულისხმობს, რომ ეს ოპერაციები დანიშნულების მიხედვით მხოლოდ ფინანსური ხასიათის მატარებლები არ გამოდიან.<sup>7</sup>

## 5. კრიპტოვალუტა

კრიპტოვალუტის ყველაზე ცნობილი ფორმაა ბიტკოინი, რომელიც დაფუძნებულია ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე. ის ისეთივე ვალუტის ფორმაა როგორც აშშ დოლარი და გირვანქა სტერლინგი, თუმცა მას არ გააჩნია მატერიის ფორმა და მთლიანად ციფრულ ფორმატს ემყარება, შესაბამისად კრიპტოვალუტა გამოიყენება ვირტუალურ გაცვლით სისტემაში. კრიპტო ფულის გადარიცხვისას, ტრანზაქციები შედის და ჩაიწერება ზოგად წიგნში, ბლოკჩეინის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რის საფუძველზეც ხორციელდება ხარჯვითი ბალანსის დაანგარიშება, ამის შემდეგ ხდება ახალი ტრანზაქციების გადამოწმება. ბლოკის ჯაჭვის მთლიანობა და ქრონოლოგიური რიგი დაცულია კრიპტოგრაფიით.<sup>8</sup>

## 6. ხელოვნური ინტელექტი

ხელოვნური ინტელექტი გულისხმობს მანქანურ ინტელექტს, რომელიც სრულიად განსხვავდება, როგორც ადამიანური ისე ცხოველური ბუნებისაგან. მისი საშუალებით მანქანები ასრულებენ ისეთ ფუნქციებს როგორცაა მსჯელობა, დაგეგმვა,

<sup>7</sup>სტატია „ბლოკჩეინ ტექნოლოგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო“ ავტორი :ლელა მამალაძე <http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arg&leng=ge&adgi=1017&title=%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9C%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90:%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D> ბოლოს გადამოწმებულია:02.08.2021

<sup>8</sup>Article “how does bitcoin work?” <https://bitcoin.org/en/how-it-works> last checked:02.08.2021

სწავლა, პრობლემის გადაჭრა. ხელოვნური ინტელექტი ეს არის ადამიანური ბუნების სიმულაცია, ის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და მოთხოვნადია ინოვაციურ სამყაროში. ხელოვნური ინტელექტი 4 სახისაა :

*რეაქტიული მანქანები* - ხელოვნური ინტელექტის მქონე მანქანაა, რომელიც რეაგირებს სიტუაციებზე, ანალიზებს იმ მომენტში არსებულ ვითარებას და ირჩევს საუკეთესო ვარიანტს მოქმედების.

*შეზღუდული მეხსიერება* - ამ ტიპის მანქანებს აქვთ მეხსიერება და შეუძლიათ გამოიყენონ წარსული გამოცდილება, მიიღონ დამოუკიდებლად გადაწყვეტილება.

*გონების თეორია* - ხელოვნური ინტელექტის მქონე მანქანების ტიპი, რომლებსაც აქვთ ინდივიდუალური მიდგომები, შეუძლიათ გაიგონ ის, რომ ყველას აქვს თავისი რწმენა, გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური საშუალებები, სურვილები და მოსაზრებები.

*თვითშემეცნება* - ეს არის ხელოვნური ინტელექტის უმაღლესი და დახვეწილი დონე, რომელსაც გააჩნია ემოციები და ცნობიერება, თუმცა ბუნებრივია ჯერჯერობით ასეთი ტიპის ხელოვნური ინტელექტი არ არსებობს.<sup>9</sup>

## 7. დრუბელური სისტემა

ეს არის სისტემა როცა დიდი ზომის მონაცემების შენახვა ხორციელდება სხვა მოწყობილობებზე ინტერნეტ სივრცეში, მასთან წვდომა შესაძლებელია ინტერნეტის დახმარებით, შეგვიძლია ისეთი ფაილების შენახვა რაც ჩვენს მოწყობილობებზე დიდ ადგილს იკავებს.

## 8. ხმოვანი ინტერფეისები ან ჩათ-ბოტები

ერთ-ერთი საუკეთესო ციფრული-ტექნოლოგიაა, რომელიც ადამიანური რესურსის დაზოგვის კარგი საშუალებაა, ამასთანავე ბიზნესს დამატებითი ხარჯებისგან იცავს. ავტომატური პასუხები კითხვებზე მომხმარებელსაც უზოგავს დროს, ამა თუ იმ საჭირო ინფორმაციის გაგებისას.

<sup>9</sup> Essey "artificial inteligenze" <https://www.toppr.com/guides/essays/artificial-intelligence-essay/> checked :02.08.2021

## 9. ონლაინ წიგნები

ონლაინ წიგნებმა ბევრ ადამიანს გაუმარტივა ცხოვრება. ეს არის სასურველი წიგნი ჩატვირთული ჩვენთვის მოსახერხებელ მოწყობილობაში, რისი საშუალებითაც ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში შეგვიძლია თან ვატაროთ სასურველი წიგნი, თავისუფალ დროს კი გვაქვს მისი კითხვის საშუალება. არ გვიწევს წიგნების მაღაზიაში სიარული, წიგნის თან ტარებით გამოწვეული დისკომფორტის ატანა და სხვა მრავალი დადებითი მხარე არის ჩვენთვის ხელმისაწვდომი.

## 10. გეო-ლოკაცია

გეოლოკაცია 21 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ციფრული ფორმატის გამოგონებაა, რომლის საშუალებითაც უცნობი ადგილები და ქალაქებიც უკვე ნაცნობია, არ იწვევს შიშს და კომფორტულია გადაადგილების თვალსაზრისით. იგი ციფრული ტექნოლოგიისა და სატელიტის კომბინაციაა, რომელიც შინაარსობრივად მოიცავს მოწყობილობის ადგილმდებარეობას, მაგალითად სმარტფონს, GPS მოწყობილობას მისი საშუალებით შეუძლია ადგილმდებარეობის ზუსტი კოორდინატების გაგზავნა სულ სხვა ელექტრონულ მოწყობილობაზე, რითაც დანიშნულების ადგილას მისვლა სულ აღარ წარმოადგენს პრობლემას.<sup>10</sup>

### 1.2 ტექნოლოგიების ჩართულობა საერთაშორისო ვაჭრობაში

ციფრული ეკონომიკის განვითარება ქმნის ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკისათვის. მას იყენებენ განვითარების მიზნით, ეკონომიკის გასაუმჯობესებლად, პროდუქტიულობის ზრდისათვის. ციფრული პლატფორმები ხელს უწყობენ გარიგებების ქსელში ჩართვასა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას. ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით ბიზნესს შეუძლია პერსპექტივების ზრდა, აგრეთვე ადამიანური რესურსზე დანახარჯების შემცირება, რაც საბოლოოდ მოგების მაქსიმიზაციას უწყობს ხელს.

---

<sup>10</sup> Article "what is digital tecnology"<https://honestproscons.com/what-is-digital-technology-25-best-examples/> checked:02.08.2021



ციფრული პლატფორმები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ მსოფლიო ბაზარზე და ბევრმა კომპანიამ ლიდერის პოზიცია დაიკავა გარკვეული მიმართულებებით მაგ: საძიებო პლატფორმის 90% ფლობს Google-ი, სოციალური ქსელების ორმესამედს facebook-ი ფლობს, მსოფლიოში ოლაინ საცალო გაყიდვების 40%-ს Amazon Web განაგებს, ჩინეთში ელექტრონული კომერციის ბაზრის 60 % Alipay (Alibaba) ფლობს და სხვა მრავალი მაგალითი. ციფრული გიგანტების წარმატებასა და დომინანტურ პოზიციას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს :

1) მომხმარებელთა სიმრავლე პლატფორმაზე - ანუ რაც უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს ამა თუ იმ ციფრულ პლატფორმაზე არსებულ კომპანიას, ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნადია, რაც უფრო მოთხოვნადია მით უფრო დიდია მისი გავლენა ციფრულ კომერციაზე, მით უფრო ღირებული ხდება იგი ყველასთვის, როგორც მომხმარებლისთვის, ისე ბაზრისათვის.

2) ინფორმაციისა და მონაცემების სწრაფი ანალიზი - ყველამ ვიცით, რომ ინფორმაციას დიდი ძალა გააჩნია, ციფრულ პლატფორმაზეც მონაცემების სწრაფ დამუშავებას, ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის გარანტი პირველობისა, სისწრაფე ამ კუთხით უპირატესობას ანიჭებს კომპანიას მეტოქის მიმართ.

3) მულტიფუნქციურობა - კომპანიის პრიორიტეტულობასა და მოთხოვნადობას განსაზღვრავს მისი უნარი, შესთავაზოს მომხმარებელს რამდენიმე მომსახურება ერთ სივრცეში. ჩვენს რეალობაში, იმის ფონზე რომ მუდმივად განვიცდით დროის სიმცირეს, მნიშვნელოვანია მისი ეკონომიის მიზნით ავარჩიოთ ესა თუ ის კომპანია, რომლის პლატფორმაც გვთავაზობს ბევრი სახის მომსახურებას და არ გვიწევს სხვა მოთხოვნისათვის გადავიდეთ სხვა კომპანიაზე.

4) პოტენციური კონკურენტის დროული გამოვლენა - ბევრმა კომპანიამ თავისი კონკურენტუნარიანობის გამყარების მიზნით შეიძინა სხვა კომპანია, რათა თავისი მომხმარებლისათვის შეეთავაზებინა მომსახურება, რომელიც მას არ ჰქონდა. ამით ცნება „ყველაფერი ერთ სივრცეში“ დაცული იქნა და შესაბამისად ციფრული მაგნატის

პოზიციასაც საფრთხე აღარ ემუქრება. ასევე მნიშვნელოვანია სტრატეგიული პარტნიორობის საკითხი სხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებთან.

მონაცემთა კონტროლი სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ციფრული დაზვერვისათვის. მონაცემთა შეგროვებას, შენახვასა და ანალიზს მოაქვს დამატებითი ძალა და უპირატესობები კონკურენტებთან მიმართებაში. ციფრული მონაცემები წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიების საფუძველს, რომელიც სულ უფრო მზარდია მსოფლიოში.

განვითარებად ქვეყნებში, ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ გლობალური პლათფორმების მიერ შეთავაზებული სერვისებით, თუმცა რიგ შემთხვევებში ადგილობრივ კომპანიებს გააჩნიათ ისეთი უპირატესობები, როგორცაა ადგილობრივი ბაზრის ინდივიდუალური ნიშნების, ადგილობრივი კომპანიის მიერ მომხმარებლის სურვილებისა და ქვეყნის შიგნით ბაზრის თავისებურებების, უკეთ ცოდნა. ზემოთ დასახელებული მიზეზებიდან გამომდინარე ადგილობრივ კომპანიას შეუძლია მომხმარებელზე მორგებული დამატებითი მომსახურების შექმნა და შეთავაზება, რაც გარანტირებულ მოთხოვნას ნიშნავს და კონკურენტუნარიანობის ჭრილში უპირატესობის მინიჭების საშუალებას იძლევა.

ტექნოლოგიების სფერო ქმნის შესაძლებლობებსა და ახალ გამოწვევებს, რათქმაუნდა მისი განვითარება გარკვეულწილად დამოკიდებულია სამთავრობო პოლიტიკაზე, ვინაიდან დაინტერესებული პირები, მოლაპარაკებების შედეგად ქმნიან „თამაშის წესებს“. სწორედ ქვეყნის მმართველი ძალა განსაზღვრავს ტექნოლოგიების განვითარების მომავალს, მათ უნდა გააკეთონ არჩევანი და შეიტანონ კანონში ისეთი პუნქტები, რომლებიც ხელს შეუშლიც კონკრეტული კომპანიის გაბატონებას ციფრულ ეკონომიკაში. მართალია გარკვეული საკითხების მოგვარება მთავრობის მხრიდან შესაძლებელია ნაციონალური გზით, თუმცა ციფრული ეკონომიკა გლობალურ ჭრილში მოითხოვს უფრო მეტ დიალოგს, კონსენსუსსა და საერთაშორისო დონეზე პოლიტიკის შემუშავებას. როგორი უნდა იყოს მიდგომა ციფრული ეკონომიკის მიმართ, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უფრო მეტი კითხვა ვიდრე პასუხი, რაც


გამოწვეული არაზუსტი სტატისტიკური მონაცემებით, მუდმივად ცვლადი ვითარებით, ტექნოლოგიების ცვლილებისა და განვითარების სწრაფი ტემპით და ა.შ. ქვეყნის შიდა პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ციფრული ეპოქის განვითარების საკითხში. აუცილებელია ქვეყანაში სწორი პოლიტიკის გატარება, რათა დიჯიტალიზაციამ გაუმკლავდეს ახალ გამოწვევებს და მოუტანოს სარგებელი ქვეყნის განვითარებას. აგრეთვე ამ პროცესის განვითარებაში ყურადსაღები ფაქტორია ხელმისაწვდომობა და საიმედო კავშირი, რადგან, როგორც ვიცით დღემდე პრობლემას წარმოადგენს სოფლად და შორეულ რეგიონებში მყოფი ადამიანებისათვის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ცოდნის ამაღლების მიზნით რეგიონებში ხშირად იქნეს ჩატარებული შემეცნებითი ტრენინგები, რომლებიც ამაღლებენ მოსახლეობაში ცნობიერების დონეს ამა თუ იმ ტექნოლოგიურ სიახლეზე. ხშირ შემთხვევაში მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმოებლებს რეგიონებში, არ აქვთ შესაძლებლობები, უნარები და ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ უნდა გამოიყენონ ციფრული კავშირები, შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისა და მეტი წარმატების მიღწევისათვის. ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა მთავრობის მიერ იქნას განხორციელებული პროექტები, რომლებიც დაეხმარება მოსახლეობას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში, რაც თავის მხრივ ამარტივებს ბიზნესსაქმიანობას. მეორეს მხრივ სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს და შემოიღოს სპეციალური რეგულაციები, სამართლებრივი დაცვის ნორმები, რათა დაცული იქნეს პირადი ინფორმაცია ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების დროს. დიჯიტალიზაციის პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. განსხვავებულია როგორც გზები, აგრეთვე მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა, ციფრულ ეკონომიკასთან მიმართებაში, კანონი კავშირში უნდა იყოს ლეგიტიმურ საჯარო პოლიტიკასთან. ციფრული მონაცემების მართვა და რეგულირება განსაკუთრებით რთულია, რადგან ისინი ეხებიან კონკრეტულ ადამიანთა უფლებებს, სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს, ნაციონალურ უსაფრთხოებას და სხვა მრავალ

მნიშვნელოვან სფეროს. სწორი პოლიტიკის ფორმულირება ამ სხვადასხვა ნორმების გათვალისწინებით რთულია, თუმცა აუცილებელი.

თუკი თვალს გადავავლებთ სტატისტიკურ მონაცემებს დავინახავთ, რომ გარკვეულ ქვეყნებს უჭირავთ ლიდერის პოზიცია ციფრული ეკონომიკის განვითარების საკითხში. შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა დაიკავეს ლიდერის პოზიციები, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მრავალ სფეროში, სხვა ქვეყნები მათ ფონზე ჩამორჩენის ეტაპზე არიან.

## ჩანახაზი №1

### ბოლო ტენდენციები ციფრულ ეკონომიკაში



ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო ტექნოლოგიური გამოგონებებია:


- ბლოკჩეინ ტექნოლოგია
- მონაცემთა ანალიზი
- ხელოვნური ინტელექტი
- 3D ბეჭდვა
- ინტერნეტ გაყიდვების სისტემა

- მომსახურების ავტომატიზაცია და რობოტიზაცია
- ღრუბელური მეხსიერების სისტემა

გლობალური ინტერნეტ პროტოკოლის გადაცემის ტრაფიკი, როგორ იზრდებოდა მონაცემების გადაცემა დაწყებული ციფრული ეკონომიკის საწყისი ეტაპიდან.

ჩანახაზი №2


გადაცემის სიჩქარე



1 გბ (გიგაბაიტი) = 1024 მბ (მეგაბაიტი) = 1024 კბ (კილობაიტი) = 1024 ბტ (ბაიტი)  
 მეგაბაიტი არის 1024 კილობაიტი ან 1,048,576 ბაიტი.  
 გიგაბაიტი უდრის 1024 მეგაბაიტს ან 1048576 კილობიტს ან 1073741824 ბაიტს<sup>11</sup>

<sup>11</sup> სტატია „1 კბ შეიცავს ბაიტი, ბიტი, კილობიტი - რომელთაგან რამდენია? სად გამოიყენება ეს მნიშვნელობები?“  
<https://130km.ru/ka/socialnye-seti/1-kb-soderzhit-baity-bity-kilobity---skolko-chego-v-chem-gde-ispolzuyutsya/> ბოლო გადამოწმება: 02.08.2021

ციფრული ეკონომიკა კონცენტრირებული ორ წამყვან ქვეყანას შორის.<sup>12</sup>



წყარო : ციფრული ეკონომიკის რეპორტი 2019 წლის




ჩინეთი და ამერიკა



დანარჩენი მსოფლიო

<sup>12</sup> report "digital economy report 2019" [https://unctad.org/system/files/official-document/der2019\\_overview\\_en.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/der2019_overview_en.pdf) checked:02.08.2021

70 უმსხვილესი ციფრული პლატფორმის 90 %-ს ჩინეთი და ამერიკა ფლობს



*ციფრული ეკონომიკის ძირითადი კომპონენტები*

ციფრული ეკონომიკა, დროთა განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკის სულ უფრო განუყოფელი ნაწილი ხდება. ციფრული ეკონომიკის ეკონომიკური ასპექტები შეიძლება რამდენიმე ნაწილად ჩავშალოთ:

- ძირითადი ფუნდამენტური ასპექტები ციფრულ ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს ახალ ინოვაციებს ისეთებს, როგორცაა ნახევარგამტარები, პროცესორები, ძირითადი ტექნოლოგიებისა (კომპიუტერები, ტელეკომუნიკაციური მოწყობილობები) და ინფრასტრუქტურის შექმნას (ინტერნეტი და სატელეკომუნიკაციო ქსელები).
- ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორი, რომელიც დაკავებულია ძირითადი საკვანძო სექტორისა და პროდუქტების წარმოებით, რომლებიც ეყრდნობიან ძირითად ციფრულ ტექნოლოგიებს, ციფრული პლატფორმების,


მობილური აპლიკაციების და გადახდის სერვისების ჩათვლით. ციფრულ ეკონომიკაზე დიდ გავლენას ახდენს ინოვაციური მომსახურება.

- **ციფრული სექტორის უფრო დიდი ნაკრები**, აქ სულ უფრო ხშირად გამოიყენება ციფრული პროდუქცია და მომსახურება (მაგ : ელექტრონული კომერცია). იმ დროს როცა მსოფლიო ეკონომიკა ცვლილებებს განიცდის, სულ უფრო მეტი ეკონომიკური სუბიექტი გადადის ციფრულ ფორმატში მუშაობაზე. ეს მოიცავს სექტორებს რომელიც ჩართულია ციფრულ ფორმატში, როგორებიცაა ფინანსური, მედია, ტურისტული და სატრანსპორტო სექტორები. აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია ციფრულ ფორმატში მუშაობის გამოცდილების მქონე პერსონალის, კონსულტანტებისა და მომხმარებლების ყოლა.

ამ კომპონენტებს იყენებენ ციფრული ეკონომიკის მამტაბისა და გავლენის გასაზომად. იმის დასადგენად თუ როგორ კავშირშია ციფრული ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკასთან. ასეთი ტიპის ანალიზი საშუალებას იძლევა შემუშავებული იქნას სწორი პოლიტიკა და მიმართულებები.

**ჩანახაზი №4**

**ციფრული ეკონომიკა ფართო და ვიწრო გაგებით**





### **5 ყველაზე მსხვილი ციფრული ტექნოლოგიის მწარმოებელი კომპანია :**

განვიხილოთ დღეის მდგომარეობით ციფრულ ეკონომიკაში ყველაზე წარმატებული 5 კომპანია, რომლებიც ქმნიან ციფრულ ტექნოლოგიებს. ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდის ჭრილში დომინანტური პოზიციები დაიკავეს ციფრული ტექნოლოგიების მწარმოებელმა კომპანიებმა, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი მოგების თვალსაჩინოდ ხილვა ციფრების საშუალებით.

ტექნოლოგიურ სფეროში მოღვაწე კომპანიები ახორციელებენ ციფრულ ფორმატში არსებული საქონლისა და მომსახურების წარმოებას, კვლევასა და განვითარებას. აწარმოებენ პროგრამულ უზრუნველყოფას, კომპიუტერებს, მმობილურ მოწყობილობებსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკას. ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიები შეაფასებული იქნებიან შემოსავლების მიხედვით.<sup>13</sup>

#### **1) ამაზონი:**


ამაზონი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომპანიაა, რომლის აქციებიც ყველაზე ძვირადღირებულია. კომპანია აქცენტს აკეთებს ელექტრონულ კომერციაზე, ხელოვნურ ინტელექტსა და ღრუბლოვანი კომპიუტერულ სისტემაზე. ამაზონი შედის ამერიკის TOP ხუთეულში, რომელიც აერთიანებს ყველაზე წარმატებულ კომპანიებს. ( Google, Apple, Microsoft და Facebook). მისი შემოსავლის ძირითადი ნაწილი გენერირდება ელექტრონული კომერციის ხარჯზე, ხოლო მეორე ადგილზეა ეგრედწოდებული „Cloud Computing“. მას აგრეთვე ყავს შვილობილი კომპანიები (Amazon Prime Video, Amazon Music, Twitch და Audible). ამაზონი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ონლაინ წიგნების ციფრული პლათფორმაა, ყველაფერი სწორედ წიგნების ონლაინ გაყიდვით დაიწყო, ამ დროს უკვე არსებობდნენ მსგავსი მომსახურების ინტერნეტ მაღაზიები, თუმცა ამაზონის მთავარი ლოზუნგი ის იყო - მიეწოდებინა ნებისმიერი წიგნი, ნებისმიერი მომხმარებლისათვის, ნებისმიერ ადგილას. 1996 წლისთვის მისი მომხმარებლების რაოდენობა 180000 შეადგენდა, 1977 წელს -

<sup>13</sup> Article " top 10 tech companies in the world 2021 " <https://www.sportshubnet.com/top-10-tech-companies-in-the-world-2021/> checked:02.08.2021

1 000 000 მომხმარებელი. 1996 წელს მისმა შემოსავალმა შეადგინა 148 მილიონი დოლარი, 1997 წელს -163 700 000, 1998 წელს - 610 000 000. 1998 წლიდან ამაზონმა ფართოდ დაიწყო გაყიდვა არამარტო ონლაინ წიგნების, არამედ მუსიკისა და ვიდეოების. ამავე წლიდან დაიწყო დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ონლაინ წიგნების მაღაზიების შესყიდვა, 1999 წლისთვის კომპანია ასევე ყიდდა სამომხმარებლო ელექტრონიკას, ვიდეო თამაშებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, საყოფაცხოვრებო ნივთებს, სათამაშოებსა და ა.შ.<sup>14</sup> 2020 წლის მონაცემებით ამაზონის შემოსავალმა შეადგინა **21.33 მილიარდი დოლარი**.

დიაგრამა №2

ამაზონის წმინდა მოგება 2004-2020 წლები<sup>15</sup>



წყარო: ონლაინ სტატისტიკა

<sup>14</sup> Article about "amazon.com" author Mark Hall <https://www.britannica.com/topic/Amazoncom> checked:02.08.2021

<sup>15</sup> ARTICLE "Amazon: annual net income 2004-2020" author Daniela Coppola <https://www.statista.com/statistics/266288/annual-et-income-of-amazoncom/> checked : 02.08.2021

## 2) *APPLE* - ეფლი


ეფლი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა თავისი აქტივებითა და ბრენდინგით, ყველზე მოთხოვნად და პოპულარულ ტექნიკას სწორედ რომ ეფლი ფლობს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სმარტფონებისა და ტაბლეტების კომპანია, რომელიც ასევე მსოფლიოში ყველაზე მომგებიანა. ის ასევე სიდიდით მეოთხეა სმარტფონების წარმოებაში.

ყველა დროის ორმა უდიდესმა ადამიანმა, საერთო ძალისხმევებით ფაქტიურად შეცვალეს სამყარო და თითოეული ადამიანის ცხოვრება, ესენი არიან სტივ ვოზნიაკი და სტივ ჯობსი. Apple- ს აქვს მრავალფეროვანი პროდუქტი, რომელიც მოიცავს სმარტ – საათებს, კომპიუტერებს, ნოუტბუქებს, ტაბლეტებს, სმარტფონებს, ტელევიზორს და ა.შ.

რაც მთავარია ეფლს აქვს უძლიერესი მარკეტინგი და მუდამ ერთგული მომხმარებელი.<sup>16</sup>

დიაგრამა №3

ეფლის წმინდა მოგება 2005-2020 წლები



<sup>16</sup> Article "apple history" <https://www.applemuseum.com/en/apple-history> checked:02.08.2021

2020 წლის მონაცემებით ეფლის შემოსავლებმა შეადგინა 57.41 მილიარდი აშშ დოლარი.<sup>17</sup>


### 3) SAMSUNG - სამსუნგი

სამსუნგი არის სამხრეთ კორეული კომპანია, რომლის შტაბ-ბინა მდებარეობს სეულში. იგი ყოველთვის კონკურენციას უწევდა რამდენიმე საუკეთესო ბრენდს, ისეთებს, როგორცაა Apple და Huawei, სხვადასხვა კატეგორიაში. მის მიერ წარმოებული ტექნიკის ჩამონათვალში შედის: მობილური ტელეფონები, საათები, მობილური აქსესუარები, ტელევიზორი, სახლის კინოთეატრები, კომპიუტერები, პრინტერები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და მრავალი სხვა.

Samsung-ის თანამშრომლობამ Android-თან კომპანია წარმატებული გახდა მთელ მსოფლიოში და სულ სხვა დონეზე გაიყვანა, ანდროიდ სისტემაში არცერთი სხვა მწარმოებელი არ არის ისეთი წარმატებული როგორც სამსუნგია. 2020 წლის მონაცემებით კომპნიის მოგებამ შეადგინა 32.3 მილიარდი აშშ დოლარი.<sup>18</sup>

#### დიაგრამა №4

*Samsung Electronics-ის წმინდა შემოსავალი 2005-2019 წწ*



<sup>17</sup> Statistics "Apple's net income in the company's fiscal years from 2005 to 2020", author: Lionel Sujay Vailshery <https://www.statista.com/statistics/267728/apples-net-income-since-2005/> checked:02.08.2021sfa


<sup>18</sup> Article "Samsung Electronics' operating profit posts double-digit growth in 2020" [http://www.xinhuanet.com/english/2021-01/28/c\\_139704262.htm](http://www.xinhuanet.com/english/2021-01/28/c_139704262.htm) checked:02.08.2021

#### 4) **FOXCON** - ფოქსკონი

დაარსდა ტაივანში 1974 წელს, იგი აგრეთვე ცნობილია Hon Hai Technology Group-ის სახელით. კომპანია ცნობილია, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ელექტრონული კორპორაცია. მის მიერაა წარმოებული ისეთი ცნობილი პროდუქტები, როგორიცაა BlackBerry, iPad, iPhone, iPod, Kindle, Nintendo 3DS, Nintendo Switch, Nintendo Switch Lite, Nokia-ს მოწყობილობები, Xiaomi-ს მოწყობილობები, PlayStation 3, PlayStation 4, Wii U, Xbox 360, Xbox One. ის აწარმოებს მთელს მსოფლიოში სამომხმარებლო ელექტრონიკის 40% -ზე მეტს. ჯგუფმა უკვე გააფართოვა შესაძლებლობები ელექტრომობილების, რობოტიკისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროებში. კომპანიის მიერ 2021 წელს მიღებული მთლიანმა შემოსავალმა 178 მილიარდი შეადგინა. კომპანიას აქვს ფართო აღიარება და ერთ-ერთი წამყვანია თავის სფეროში

დიაგრამა №5

ფოქსკონის წმინდა მოგება 2005-2019 წლებში<sup>19</sup>



წყარო: ონლაინ სტატისტიკა

ტაივანური დოლარი



აშშ დოლარი



#### 5) **Alphabet Inc** - ალფაბეტი

<sup>19</sup> article **Foxconn Technology Group's (Hon Hai Precision Industry) net income worldwide from 2005 to 2019** author Thomas Alsop "<https://www.statista.com/statistics/543848/worldwide-net-income-of-foxconn-electronics/> checked:02.08.2021


იგი შეიქმნა 2015 წლის 2 ოქტომბერს Google-ის რესტრუქტურის შედეგად, შემდგომში Google-ი გახდა ალფაბეტის შვილობილი კომპანია. ალფაბეტი ეს არის ბიზნეს ჯგუფი - რომელშიც ყველაზე დიდი სექტორი უჭირავს Google-ს. სხვა შვილობილ კომპანიებში შედიან: Calico, CapitalG, DeepMind, Fitbit, Waymo, Wing, Google fiber და მრავალი სხვა.

2020 წლის 16 იანვარს Alphabet გახდა მეოთხე ამერიკული კომპანია Apple-ის, Amazon- ისა და Microsoft-ის შემდეგ, რომელმაც მიაღწია 1\$ ტრილიონ დოლარს საბაზრო ღირებულებით. ალფაბეტი მე-5 ნომერია 2021 წელს მსოფლიოს ტოპ 10 ტექნიკური კომპანიის სიაში. კომპანიის 2020 წლის შემოსავალმა შეადგინა **40.27** მილიარდი აშშ დოლარი. (ჯონსონი, 2021)<sup>20</sup>

დიაგრამა №6

**ალფაბეტის წლიური წმინდა შემოსავალი 2011 წლიდან 2020 წლამდე**

(წარმოდგენილია მილიონებში)



წყარო: ონლაინ სტატისტიკა

**თავი II - საბანკო სექტორი და თანამედროვე ტექნოლოგიები**

**2.1 კომერციული ბანკების როლი ეკონომიკის განვითარებაში**

<sup>20</sup> Statistick "Annual net income of Alphabet from 2011 to 2020 author

; Joseph Johnson <https://www.statista.com/statistics/513049/alphabet-annual-global-income/> checked:02.08.2021

კომერციული ბანკი არის იურიდიული პირი, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ეძლევა ფინანსური საქმიანობის უფლება. სხვა საბანკო საქმიანობასთან ერთად, კომერციული ბანკი იღებს დეპოზიტებს და შემდგომში, მათი საშუალებით ეწევა საბანკო საქმიანობას. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ მიიღოს საქმიანობისათვის საჭირი ლიცენცია, არსებობს კანონმდებლობის მიერ გათვალისწინებული გარკვეული მოთხოვნები. განვიხილოთ საქართველოს მაგალითზე. იმისათვის, რომ საქართველოში ფინანსურმა ორგანიზაციამ მიიღოს კომერციული ბანკის სტატუსი აუცილებელია ორგანიზაციამ წარადგინოს ლიცენზიის მიღების შესახებ წერილობითი მიმართვა, რომელშიც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სადამფუძნებლო დოკუმენტების დედნები ან ორიგინალის არ წარდგენის შემთხვევაში მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლები.
- ბ) ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, აგრეთვე ლიცენზიის მიღების მსურველის განცხადება საწესდებო კაპიტალის და საზედამხედველო კაპიტალის საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ.
- გ) საბანკო ამონაწერი, კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი, რომელიც შესაბამისობაში მოდის ბანკებისათვის მინიმალური კაპიტალის შესახებ კანონთან.
- გ) ინფორმაცია ლიცენზიის მიმღები პირის ადმინისტრატორის მიერ, იმის შესახებ, რომ აკმაყოფილებენ კანონით გათვალისწინებულ ნორმებს .
- დ) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
- ე) დეკლარაციის წარდგენა, სადაც არის ინფორმაცია წილის, უშუალო მესაკუთრისა და ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ.
- ვ) გამჭვირვალობის ცნების დაცვა, ლიცენზიის მიღების მსურველი არ უნდა უქმნიდეს თავისი საქმიანობით საფრთხეს ეროვნული ბანკის მიერ ეფექტიანი ზედამხედველობის

განხორციელების შესაძლებლობას, აგრეთვე კომერციული ბანკის ან/და ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას.

ზ) ინფორმაცია, ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის შესახებ.

თ) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია რაშიც შედის: კორპორაციული მართვის დებულება, ორგანიზაციულ სტრუქტურას და მენეჯმენტის სამუშაოს აღწერილობა, საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და სხვა შესაბამისი რისკების მართვის ჩარჩო, კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების მოდელი, სააღრიცხვო პოლიტიკა.

ი) ბიზნესგეგმა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული იურიდიული პირის დაგეგმილ საქმიანობას.

კ) უცხოური ბანკის ფილიალის ან შვილობილი ბანკის ლიცენზირების შემთხვევაში, უნდა იქნას წარდგენილი ინფორმაცია სათავო ბანკის ბოლო 3 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას და მოგება-ზარალის ანგარიშგება, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ეროვნული ბანკისთვის მიმართვის შესახებ.

ლ) იმ უძრავი ქონების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი სადაც უნდა განთავსდეს სათაო ოფისი.

მ) უნდა იქნას მიწოდებული ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც ეროვნული ბანკი დასაბუთებულად მოითხოვს.<sup>21</sup>

საფინანსო ბაზარზე ფინანსური სექტორის წარმომადგენლებს შორის კომერციული ბანკები, ეწევიან ყველაზე მრავალფეროვან საქმიანობას, როგორც საოპერაციო ისე საკრედიტო კუთხით. მის მიერ შემოთავაზებულ მომსახურებაში შედის : მიმდინარე

<sup>21</sup> საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ [https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update\\_kanonebi/kombank.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_kanonebi/kombank.pdf) გადამოწმებულია :02.08.2021



ანგარიშის გახსნა, სადეპოზიტო (ანაზრის) ანგარიშის გახსნა, სადებეტო /საკრედიტო ბარათებით სარგებლობა და ა.შ

ძირითადად კომერციული ბანკების საქმიანობა კანონითაა განსაზღვრული და ლიმიტირებული რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქვს მხოლოდ კანონმდებლობით დაშვებული საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება. ძირითადად ეს საქმიანობა შესაძლოა იყოს:

- სესხების გაცემა, ფაქტორინგული ოპერაციები, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით.
- ფაქტორინგული ოპერაციები - სავაჭრო-საკომისიო ოპერაციის სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს.<sup>22</sup>
- გარანტიები-საბანკო გარანტია ეს არის ფულადი ვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, რომელშიც მონაწილეობს გარანტი, პრინციპალი და ბენეფიციარი.
- აკრედიტივი-გარანტიის ერთ-ერთი სახე ;
- ფორფეტირება - საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების, სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით; ამ ოპერაციის შესრულებისას გარანტია იმპორტიორი ქვეყნის ბანკი;
- დეპოზიტების მოზიდვა;
- დერივატივის დადება, საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო

<sup>22</sup> კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“[https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nbglow/new/kommerciuli\\_bankebis\\_shesaxeb\\_kanoni.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nbglow/new/kommerciuli_bankebis_shesaxeb_kanoni.pdf)  
გადამოწმებულია :02.08.2021

საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა.

- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება.
- გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება.
- ლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება.
- საკრედიტო-საცნობარო მომსახურება.
- ქონების იჯარით გაცემა.
- საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება.
- ქონების ლიზინგით გაცემა.

კომერციული ბანკი ფინანსური სექტორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, რომლის გამართული საქმიანობა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი კომპონენტია.<sup>23</sup>

იმისათვის, რომ მიხვდეთ კომერციული ბანკების მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკისათვის, საჭიროა სიღრმისეულად განვიხილოთ ის თუ რას წარმოადგენს თავად ეკონომიკა.

ეკონომიკა ეს არის სოციალური მეცნიერება, რომელიც შინაარსობრივად მოიაზრებს საქონლისა და მომსახურების წარმოების შესწავლას, შემდგომში მის განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. მე-19 საუკუნეში ეკონომიკა მიიჩნეოდა ჯენტლმენების გასართობად, ეკონომისტები წერდნენ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებების დროს კანონმდებლები იშვიათად ეკითხებოდნენ მათ აზრს. დღეს-დღეისობით ძნელად თუ იპოვით, ქვეყანას, ორგანიზაციას, ბანკს, საერთაშორისო სააგენტოს, რომელსაც არ ჰყავს საკუთარი ეკონომისტთა ჯგუფი.

---

<sup>23</sup> სტატია : კომერციული ბანკი "<https://www.finedu.gov.ge/ge/komertiuli-banki-1> გადამოწმებულია:02.08.2021

20 საუკუნეში ინგლისელმა ეკონომისტმა ლიონელ რობინსმა განმარტა ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევას, მაშის როცა მას გააჩნია შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები და ამით სურს დასახული მიზნის მიღწევა, ანუ რობინსის მიხედვით ეკონომიკა არის ურთიერთობა (მოცემულ) მიზნებსა და მწირ საშუალებებს შორის, რომლებსაც აქვთ ალტერნატიული გამოყენების შესაძლებლობა.<sup>24</sup>

სიტყვა ეკონომიკა ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს და შინაარსობრივად იგი მოიაზრებს საოჯახო მეურეობის მართვას. მეცნიერებაში ტერმინი „ეკონომიკა“ შემოიღო ბერპენმა ფილოსოფოსმა ქსენოფონტემ (ძვ. წ. 427-355) შემდგომ იგი გაამდიდრა არისტოტელემ, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი „ეკონომიკოსი“. ინგლისელმა ეკონომისტმა ალფრედ მარშალმა შემოიღო ტერმინი „ეკონომიქსი“ იმისათვის, რომ ერთმანეთისგან გაემიჯნა „ეკონომიკა“, რომელიც ქვეყანას უკავშირდებოდა, ეკონომიკისაგან, რომელიც წარმოადგენდა სასწავლო დისციპლინას. ტერმინი ეკონომიქსი გამოიყენება ეკონომიკის შემსწავლელი მენიერებისა და სასწავლო დისციპლინის აღსანიშნავად<sup>25</sup>.

საქონლისა და მომსახურების წარმოება, მოხმარება და განაწილება, რაც მოიაზრება ეკონომიკის შიგთავსად, არსებობს იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იქნას ადამიანთა მოთხოვნები და საჭიროებები რომლებიც არიან ეკონომიკური გარემოს შემავალი ნაწილი. ეკონომიკურ გარემოს მეორენაირად ეკონომიკური სისტემა ეწოდება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ეკონომიკა მჭიდროს არის დაკავშირებული გაცვლასთან ანუ ვაჭრობასთან და ჩვენ ყველანი ირიბად თუ პირდაპირ ვმონაწილეობთ ეკონომიკაში, ყოველდღიურად ვიღებთ გადაწყვეტილებებს რაღაცის ყიდვის შესახებ, ვსაზღვრავთ შესაძენი ნივთის რაოდენობას, გვიწევს ფიქრი იმის შესახებ თუ სად უნდა ვიშოვოთ ფული და რა გზით, მოვახდინოთ თუ არა ვალუტების გაცვლა-გამოცვლა, დავაგროვოთ ფული თუ არა, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჩვენი საფიქრალი ჩერდება რაოდენობაზე, ვიღვიძებთ დილით და ჯიბეში არსებული 10

<sup>24</sup> Definition of “economics “ author **Mark Blaug** <https://www.britannica.com/topic/economics> checked:02.08.2021

<sup>25</sup> სტატია „რა არის ეკონომიკა“ ავტორი ლადო პაპავა <https://www.gfsis.org/files/my-world/1/ekonomika.pdf> გადამოწმებულია :02.08.2021

ლარის აღმოჩენისას ვიწყებთ ანალიზს იმაზე თუ როგორ დავხარჯოთ ეს ფული მიზნობრივად, რა ვიყიდოთ, შევინახოთ თუ დავხარჯოთ. შესაბამისად ყველა ჩვენთაგანი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი ვართ.

კომერციული ბანკები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფო ეკონომიკის ზრდის საკითხში. ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებაში. ბანკები არ არიან მხოლოდ ფულის უსაფრთხო შემნახავი საცავები, ისინი გარკვეულწილად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რესურს წარმოადგენენ, სიმდიდრის დაცვითა და მეორეს მხრივ საზოგადოებრივი განვითარებისათვის საჭირო რესურსის მიწოდების საშუალებით. ბანკები აკეთებენ აკუმულირებას მოსახლეობაში არსებული ფულადი საშუალებების, მოსახლეობას თავაზობენ ხელსაყრელ პირობებს იმისათვის რომ მათი ჭარბი ფული განათავსონ ბანკში დეპოზიტების სახით. შემდგომ უკვე აკუმულირებულ ფულად საშუალებებს კომერციული ბანკები ხელმისაწვდომს ხდიან ბიზნესსუბიექტებისათვის, რათა ამ უკანასკნელებმა აამაღლონ თავისი პროდუქტიულობა საქონლისა და მომსახურების წარმოების სტიმულირების გზით. იმ შემთხვევაში თუკი ბანკი არ მოახდენს ამ ყველაფერს, მოსახლეობაში არსებული ჭარბი ფული მოხმარდება კერძო სუბიექტების სურვილების დაკმაყოფილებას და არანაირად არ მოხმარდება საზოგადოებრივი მიზნების მიღწევას. ბანკები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, განვითარების მიზნით ქმნიან სასესხო პროდუქტებს, რომლების ჩვენთვის ცნობილია კრედიტის სახელით. კრედიტი ახალი პროექტების განვითარების დამატებით საშუალებას წარმოადგენენ. საკრედიტო პორთფელის ზრდა უზრუნველყოფს ქვეყანაში წარმოების, დასაქმების, ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებას. კომერციული ბანკების ერთადერთ ფუნქციას კაპიტალის დაგროვება არ წარმოადგენს, უფრო მნიშვნელოვანია უკვე არაკუმულირებული სახსრების განაწილება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით. ბანკები სახელმწიფო ხელშეწყობით ახდენენ ქვეყნის მრეწველობის სათანადო დარგების განვითარების წახალისებას დაბალი საპროცენტო

განაკვეთების მეშვეობით. კომერციული ბანკები განსაკუთრებით აფინანსებენ იმ დარგებს, სადაც გამოიყენება წარმოების ახალი მეთოდები, რითაც გავლენას ახდენენ ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობაზე. ბანკებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ეკონომიკაში არსებულ ფულის მასაზე საბანკო საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკის საშუალებით. ეს ერთ-ერთი მიზეზია რის გამოც სახელმწიფოში ეროვნული ბანკი არეგულირებს საბანკო საპროცენტო განაკვეთების მაქსიმალურ ნორმებს ანაბრებსა და სესხებზე. განვითარებულ ქვეყნებში, ბანკები აგრეთვე აფინანსებენ ხელისუფლებას, რათქმუნდა გარკვეულ დარგებში. ამ დროს კომერციული ბანკები სახელმწიფო სტრუქტურას სთავაზობენ, სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ინვესტირების სახით, გრძელვადიან სესხებს და მოკლევადიან სახაზინო თამასუქებს („თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას“).<sup>26</sup>

საბანკო ინდუსტრიის განვითარება ხელს უწყობს, რეგიონებში გახსნილი ფილიალების სახით, დასაქმების სექტორის განვითარებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სახით.

მოკლედ რომ ჩამოვაცალიბოთ ბანკები ახორციელებენ მთლიან ფულად - საანაგრიშწორებო ოპერაციებს ქვეყნის მასშტაბით. ხოლო ფული, ეს არის ყველა მოქალაქის შრომითი ანაზღაურების მაჩვენებელი, რომელიც თავმოყრილია საბანკო სისტემაში, მისი შენახვა, გაფრთხილება, დაცვა და მიზნობრივი გამოყენება თითოეული მოქალაქის ცხოვრების პირობების განვითარებაა, ანუ ბანკი ინახავს ჩვენ შრომას ფულის სახით.

კომერციული ბანკების მუშაობა კანონისა და დადგენილი ნორმების ფარგლებში უმნიშვნელოვანესია მთელი ქვეყნის ეკონომიკასა და თითოეული მოქალაქის ცხოვრების ფინანსური სტაბილურობისათვის.

---

<sup>26</sup> კანონი „ საქართველოს კანონი თამასუქების შესახებ“<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30286> გადამოწმებულია :02.08.2021

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად (1991 წ.), 300-მდე კომერციული ბანკი შეიქმნა, თუმცა ქაოსურად, შედეგმაც არ დააყოვნა ვინაიდან საქართველოს მამულების ეკონომიკისათვის 300 ბანკი ზედმეტად ბევრია. მათმა უმრავლესობამ მოსახლეობა გააწვილა, ხშირი იყო შემთხვევა ბანკში შეტანილი ფულის მითვისებისა და მოსახლეობის „გადაგდების“, სიტუაცია გამოსწორდა ქართული ფულის გამოშვების პარალელურად, სახელმწიფოში შეიქმნა სათანადო საბანკო კანონმდებლობა, რამაც ხელი შეუწყო საბანკო საქმიანობის მოწესრიგებას და სტაბილურობას, ეს რეგულაციები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეგულაციების სტანდარტებით განხორციელდა.<sup>27</sup>

დღესდღეისობით საქართველოში არსებობს 15 კომერციული ბანკი, მათ გააჩნიათ თანამედროვე ეკონომიკის შესაბამისი სტრუქტურა და ფუნქციური ოპერაციების განხორციელების ტექნიკური და ადამიანური რესურსები. საქართველოში არსებული კომერციული ბანკები:

1. სს „თიბისი ბანკი“;
2. სს „საქართველოს ბანკი“;
3. სს „ლიბერთი ბანკი“;
4. სს „ბაზისბანკი“;
5. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“;
6. სს „ბანკი ქართუ“;
7. სს „პროკრედიტ ბანკი“;
8. სს „სილქ როუდ ბანკი“;
9. სს „ზირაათ ბანკი საქართველო“;
10. სს „იმ ბანკი“;
11. სს „ტერაბანკი“;
12. სს „ხალიკ ბანკი საქართველო“;
13. სს „პაშა ბანკი საქართველო“;
14. სს „ფინკა ბანკი საქართველო“;
15. სს „კრედო ბანკი“.<sup>28</sup>

<sup>27</sup>სტატია „საქართველოს და კომერციული ბანკების ეკონომიკური ზრდის შედარება“ ავტორი იზოლდა ქილაძე [https://www.researchgate.net/publication/324485801\\_sakartvelos\\_da\\_komertsiuli\\_bankebis\\_ekonomikuri\\_zrdis\\_shedareba](https://www.researchgate.net/publication/324485801_sakartvelos_da_komertsiuli_bankebis_ekonomikuri_zrdis_shedareba) გადამოწმებულია:02.08.2021

<sup>28</sup>საქართველოში არსებული კომერციული ბანკები <https://old.nbg.gov.ge/index.php?m=403> გადამოწმებულია:02.08.2021

იმისათვის, რომ თვალნათლივ დავინახოთ ბანკების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში, ერთმანეთთან შევადაროთ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების აქტივები. ბანკების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია მათი აქტივების ცვლის ტენდენცია. ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების აქტივების ზრდის ტემპებს 2019-2020 წლებში .

ცხრილი №1 :

საქართველოს მოქმედი კომერციული ბანკის აქტივების მაჩვენებლის დინამიკა 2019-2020 წლებში. 2020 წლის პილარ 3 ანგარიშგების მიხედვით. <sup>29</sup>

კომერციული ბანკები	2019	2020	თანხობრივი სხვაობა	პროცენტული ზრდა
„თიბისი ბანკი“	18 032 113 318	21 727 528 822	3 695 415 504	20%
„საქართველოს ბანკი“	17 139 080 625	20 221 951 741	3082871116	17%
სს „ლიბერთი ბანკი“	2 144 192 712	2 981 966 362	837773650	39%
სს „ბაზისბანკი“	1 665 123 994	2 006 267 655	341143661	20%
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	1 649 872 861	2 047 322 037	397449176	24%
სს „ბანკი ქართუ“	1 220 376 952	1 406 277 389	185900437	15%

<sup>29</sup> პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება <https://old.nbg.gov.ge/index.php?m=672> გადამოწმებულია :02.08.2021

სს „პროკრედიტ ბანკი“	1 507 336 714	1 896 793 723	389457009	25%
სს „სილქ როუდ ბანკი“	75 929 882	79 660 640	3730758	4,9%
სს „ზირათ ბანკი საქართველო“	130 446 917	128 766 277		-1,2%
სს „ტერაბანკი“	1 031 642 746	1 263 721 338	232078592	22%
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	513 295 518	635 233 527	121938009	24%
სს „პაშა ბანკი საქართველო“	495 242 088	469 857 867		-5.1%
სს „ფინკა ბანკი საქართველო“	277 990 829	283 236 646	5245817	1.9%
სს „კრედო ბანკი“	1 030 573 275	1 395 024 280	364451005	35%

წყარო : 2020 წლის პილარ 3 ანგარიშგება

როგორც ვხედავთ აქტივების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი 2019-2020 წლებში ჰქონდათ: ლიბერთი ბანკს (39 % ზრდა ), კრედო ბანკს (35 % ზრდა ) და პროკრედიტ ბანკს ( 25 % ზრდა ). განსაკუთრებით მაღალი ტემპით გამოირჩეოდა ლიბერთი ბანკი, თუმცა საკმაოდ მაღალია ვალდებულებების ზრდის ტემპიც.

- ლიბერთი ბანკში აქტივები 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 39%-ით, ვალდებულებები 46%-ით, წმინდა მოგება 2020 წელს წინა წელთან შედარებით 157%-იან მინუსშია.
- კრედო ბანკში შესაბამისად: აქტივები გაიზარდა 35%-ით, ვალდებულებები გაიზარდა 39 %-ით, წმინდა მოგება 2020 წელს წინა წელთან შედარებით 150%-იან მინუსშია.



- პროკრედიტ ბანკში აქტივები გაიზარდა 25%-ით, ვალდებულებები გაზარდილია 30%-ით წმინდა მოგება და 115%-ან მინუსშია;

ანალიზის საფუძველზე ვადგენთ, რომ აქტივების ზრდის კუთხით ლიბერთი ბანკი ლიდერობს, თუმცა წმინდა მოგების კუთხით ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელი სწორედ მას გააჩნდა. სამივე კომერციული ბანკიდან წმინდა მოგების კუთხით შედარებით დადებითი მაჩვენებელი პროკრედიტ ბანკს ჰქონდა, მთლიანი ვალდებულებაც ყველაზე ნაკლებად პროკრედიტ ბანკს გაეზარდა 2020 წლის ჭრილში.

## 2.2 ინოვაციების მნიშვნელობა კომერციული ბანკების საქმიანობაში

ინოვაცია, არის რაიმე სიახლის ან უკვე არსებულის ახლებურად გაკეთება. ეს სიტყვა გამოიყენება ცვლილებების აღსაწერად. იგი უშუალო კავშირშია, როგორც ახალი იდეის გაჩენასა და გამოგონებასთან. დღესდღეისობით ყველა სახელმწიფო ცდილობს მზარდი ტემპი შეინარჩუნოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გზაზე. რაც შეეხება საბანკო სექტორის განვითარებას ინოვაციების ხარჯზე, ძირითად მიზანს საბანკო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება, საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების გაფართოება, მიწოდების მეთოდების დახვეწა, გრძელვადიანი ეფექტურობისა და ბიზნესის სტაბილურობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე მარტივად ვიგებთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ინოვაციების როლი კომერციული ბანკების საქმიანობისათვის. ფინანსური ინოვაციების აქტიური დანერგვის ობიექტურ ფაქტორებს წარმოადგენს:

- საბანკო სისტემის განვითარების ინტენსივობის ფართო მოდელის გადასვლა.
- კონკურენციის გაძლიერება და პრიორიტეტების ცვლილება, მაღალი კონკურენციის პირობებში ბანკების უმრავლესობისთვის წარმატების გასაღებია პროდუქტის დიფერენციაცია, რომლის ერთ-ერთი საშუალებაა ინოვაციების დანერგვა, სწორედ ინოვაციების დანერგვით არიან ბანკები უფრო მოთხოვნადები.


- ფინანსური გლობალიზაცია. გლობალური ფინანსური ბაზრის გარიგებებზე უცხოური საბანკო კაპიტალის შეღწევისას სიტუაცია მოითხოვს საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობას ბანკებს შორის.
- ფინანსური კულტურის ზრდის ფონზე, ფინანსური ინოვაციების აუცილებლობის გაცნობიერება სულ უფრო მკვეთრად გამოხატული, ვინაიდან იზრდება საზოგადოების ინტერესები ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებაზე.

პრაქტიკიდან გამომდინარე მარტივი მისახვედრია, რომ ინოვაციები მრავალფეროვანია და ისინი შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვანიშნულით, მაგალითად ტექნოლოგიური პარამეტრების, ცვლილებების სიღრმის, ინოვაციური პოტენციალის, სიახლის ხარისხისა და სხვა მრავალი ნიშნის მიხედვით. ცნობილი ეკონომისტი ი. შუმპეტერი, ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში, საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ძირითად დამაჩქარებელ ფაქტორად ინოვაციებს მიიჩნევდა, მისი თქმით მეწარმის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა რესურსების კომბინაცია, როდესაც შესაძლებელია ახალი სარგებლის მიღება, ანდა ცნობილი ეფექტების ახლებურად გამოყენება, ანუ ინოვაციების შექმნა.

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ფორმები იძულებულნი არიან დანერგონ ახალი ტექნოლოგიები მათივე ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ეს ახალი ტექნოლოგიები სამეცნიერო ცოდნისა და კვლევის შედეგია. გაძლიერებულ კონკურენტულ გარემოში ოპერირების ფონზე, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ აღწევს ბიზნესი დასახულ მიზნებს, აღწევს თუ არა საერთოდ და რა რესურსების გამოყენების საშუალებით. ინოვაციებს შესწევს ძალა გაზარდოს ფირმის ეფექტიანობა, მწარმოებლურობის ზრდისა და დანახარჯების შემცირების ხარჯზე. მზარდი კონკურენციის და რესურსების შეზღუდულობის პირობებში ორგანიზაციებს ესაჭიროებათ ახალი ტექნოლოგიები, რათა გაუმკლავდნენ საბაზრო სირთულეებს, მათ შორის მსხვილი ფორმების კონკურენციას სხვა და ამ

ყველაფრის პარალელურად დააკმაყოფილონ მომხმარებელთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნები.

არსებობს ინოვაციური საქმიანობის ორი მეთოდი: ხაზობრივი და ინტერაქტიური. ხაზობრივი ინოვაციური საქმიანობის მოდელის პირობებში, ინოვაციური საქმიანობა მკაცრადაა განსაზღვრული ლოგიკური თანმიმდევრობით და შემდეგ ეტაპებად მიმდინარეობს



**ფუნდამენტური კვლევები** - მათ არ გააჩნიათ უშუალო პრაქტიკული დანიშნულება და მიმართულნი არიან საზოგადოების, ადამიანის, ეკონომიკის და ბუნების ადრე უცნობ კანონზომიერებათა აღმოჩენაზე. კვლევის შედეგებს არ გააჩნიათ კომერციული ღირებულება და ფორმდება, როგორც სამეცნიერო აღმოჩენები. იგი ემსახურება მეცნიერების მოცემული დარგის განვითარებას, ან ქმნის მომავალი გამოყენებითი კვლევებისათვის თეორიულ საფუძველს.

**გამოყენებითი კვლევები** - ახორციელებენ გამიზნულად, კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად წინასწარგანსაზღვრული კომერციული სარგებლის მიღების მიზნით.

**საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები** - იგი ფორმირდება ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების პირობებში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე. მოიცავს ტექნიკური დოკუმენტაციის, პროექტების, ნახაზების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, საცდელი ნიმუშების შექმნისა და მათი გამოცდის პროცესს. მის ამომავალ წწერტილს წარმოადგენს ახალი საქონელი, მომსახურება, მასალები, ტექნიკა, ტექნოლოგიები და საწარმოო მეთოდები.

ათვისებისა და სამრეწველო წარმოება - ამ ეტაპზე ორგანიზაცია გადადის მასობრივი გამოყენების ეტაპზე, სადაც მათი სასარგებლო ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტი მხოლოდ პოტენციის სახით ვლინდება.

მარკეტინგული საქმიანობისა და გასაღების ეტაპი - იგი ასევე ინოვაციური ბუნების არის. ამ დროს მარკეტინგის უახლესი მეთოდები პრაქტიკულად გამოიყენება. ამ ეტაპზე ინოვაციების ეფექტი, არსებობის შემთხვევაში, ზემოგების სახით ვლინდება. (სისვაძე, თ. გ.).<sup>30</sup>

შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაცია ეს არის მეცნიერული კვლევის შედეგად შემუშავებული სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის უკეთესად მუშაობასა და პროცედურების გამარტივებას, იგი ემსახურება მაქსიმალური მოგების მიღების მიზანს.

ჩვენი მიზანია ინოვაციური კონკურენციის როლის განსაზღვრა საბანკო ბიზნესში. ამერიკელი ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელი ეკონომისტების განსხვავებული შეხედულებები დაგვცხმარება განვსაზღვროთ ინოვაციების მნიშვნელობა საბანკო სექტორის კონკურენტული გარემოს პირობებში.

კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება, მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, სოციალური და კულტურული, ფაქტორებითა და თავისებურებებით. მაშტაბური გაგებით თუ განვმარტავთ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ქვეშ მოიაზრება, ფირმებისა და დარგების შესაძლებლობა, დაიპყრონ და გაიმაგრონ პოზიციები საერთაშორისო ბაზრებზე მ. პორტერის, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და ბიზნეს სტრატეგიების ავტორის, მოსაზრებით ქვეყნის ცხოვრების დონის სტანდარტები განისაზღვრება ეკონომიკის მწარმოებლურობით, რაც იზომება კაპიტალის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ერთეულზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებით.<sup>31</sup>

<sup>30</sup>სტატია“ ინოვაციები , როგორცწარმატებული ბიზნესის საფუძველი „ავტორი : ნოდარ ხადური <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASHcefb3ffddd64255675b39.11.1;jsessionid=B2703C5EAFD4E4AC46FA13EE9E8396B0> გადამოწმებულია:02.08.2021

<sup>31</sup> Книга „канкуренция“<http://213.230.96.51:8090/files/ebooks/lqtisodiyot/%D0%9F%D0%BE%D1%80%D1%82%D0%B5%D1%80%20%D0%9C.%20%D0%9A%D0%BE%D0%BD%D0%BA%D1%83%D1%80%D0%B5%D0%BD%D1%86%D0%B8%D1%8F%202005.pdf> Портер Майкл, Э. "Конкуренция". Пер. с англ.-М. Издателский дом "Вильямс" 2005  
пересмотреноЖ02ю08ю2021

დღესდღეისობით საქართველოში სრულფასოვანი და ეფექტიანი კონკურენციის გარეშე ჩამოყალიბდა, რაც ძირითადად ეროვნული ბანკის სწორი რეგულაციებისა და მოქნილი საზედამხედველო პოლიტიკის დამსახურებაა. სწორედ მის მიერაა განპირობებული საბანკო სტრუქტურებისა და მთლიანად საბანკო ინდუსტრიის თანამიმდევრული და სწრაფი ზრდა-განვითარება.

ციფრულ საბანკო სფეროში კომერციულმა ბანკებმა ერთმანეთს რომ გაუწიონ კონკურენცია ამისთვის 3 არჩევანი გააჩნიათ:

- მომსახურების ხარისხის უწყვეტი განვითარება;
- პერსონალის კომპეტენციისა და საბანკო პოლიტიკის მუდმივი განვითარება;
- ორგანიზაციული კულტურის მაღალი დონის შექმნა, იმისათვის რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა შესთავაზონ მომხმარებელს გაუმჯობესებული ციფრული მომსახურება და გაამართლონ მისი მოლოდინები.

ძლიერი საბანკო სექტორი ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური ზრდის გასაღებია. კონკურენტუნარიანი საბანკო სექტორი კი ხელს უწყობს ეკონომიკის ლიკვიდურობას, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი ფაქტორია კაპიტალის დაგროვების, ეკონომიკურ ზრდისა და დასაქმების. კომერციული ბანკები სესხების გაცემის გზით ინვესტიციების განხორციელების საშუალებაა. საბანკო სექტორი განვითარებად ქვეყნებში კონკურენტუნარიანი ბაზარია, რომელთა შესწავლაც აუცილებელია.<sup>32</sup>

დღეისათვის საქართველოს ინოვაციურ განვითარებას საფუძვლად უდევს უწყვეტი და მიზანმიმართული ინოვაციების ძიების პროცესი, იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესებას იმდენად რამდენადაც საზოგადოების საჭიროება, მისი წევრების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება მოითხოვს ამას. ინოვაციების დონის შეფასება შესაძლებელია ინოვაციის გლობალური ინდექსით (GII). საქართველო ამ ინდექსის მიხედვით 2018 წელს 59-ე ადგილს იკავებდა 35.05 ქულით, იგი ჩამორჩება უკრაინას (38.52 ქულა, 43-ე ადგილი), რუსეთს (37,9 ქულა, 46-ე ადგილი), მოლდოვას (37,63 ქულა, 48-ე ადგილი) და თურქეთს (37.42 ქულა, 50-ე

<sup>32</sup>article " How growing competition is driving innovation in the banking industry" <https://www.newtimes.co.rw/section/read/220583>  
checked:02.08.2021

ადგილი). 2020 წლის მაჩვენებლით საქართველო იკავებს 63 ადგილს 31.78 ქულით. ჩამორჩება მოლდოვას რესპუბლიკას ( 32.98 ქულა , 59-ე ადგილი ), სამხრეთ აფრიკა (32.67 ქულა, 60-ე ადგილი ), სომხეთი (32.64 ქულა , 61-ე ადგილი ), ბრაზილია (31.94 ქულა, 62-ე ადგილი ).<sup>33</sup>

ინოვაციური პროცესების განვითარებას საბანკო სექტორში ინფრასტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად ასახავს ბანკომატების 68,7 პროცენტით გაზრდილი ოდენობა, აგრეთვე პლასტიკური ბარათების (საკრედიტო და სადებეტო) გამოყენების ზრდაც. ბოლო პერიოდში საკრედიტო ბარათების წილი მცირდება სადებეტო ბარათების ზრდის ხარჯზე რაც განპირობებულია იმით, რომ შრომითი ანგარიშსწორება ხორციელდება სადებეტო ბარათებზე ხელფასის დარიცხვის მეშვეობით. 2011-2018 წლ ებში პლასტიკური ბარათები საშუალოდ 93,4 %-ით იზრდებოდა, 2018 წელს მისმა მაჩვენებელმა 8,83 მლნ. ერთეული შეადგინა. ყოველწლიურად იზრდება საქართველოს მოქალაქეების მიერ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში რეზიდენტი ემიტენტების მიერ ემიტირებული საგადახდო საბანკო ბარათებით ბანკომატის, პოსტ-ტერმინალების და ინტერნეტის გამოყენებით განხორციელებულ ოპერაციათა რიცხვი.

**ცხრილი №2**

**რეზიდენტი ბანკების მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობრივი მაჩვენებელი .<sup>34</sup>**

	2015	2016	2017	2018	2019	2020
საქართველოს ტერიტორიაზე	103251353	130735869	172403653	243040940	326675979	396149670
საზღვარგარეთ	4141589	5224319	6920624	11060208	19566471	24876229

წყარო: რეზიდენტი ემიტენტების მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების მონაცემები ქვეყნის შიგნით და გარეთ

<sup>33</sup> Index"global innovation index 2020" [https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo\\_pub\\_gii\\_2020.pdf](https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf) checked:02.08.2021


<sup>34</sup> მონაცემები „ საქართველოში ემიტირებული ბარათებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ“ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304> გადამოწმებულია:02.08.2021

მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ კომერციული ბანკების დეპოზიტური ნაშთები ეროვნულსა და უცხოურ ვალუტაში დიაგრამის საფუძველზე.

დიაგრამა №7

კომერციული ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტების მაჩვენებელი 2018 წლიდან დღემდე .

ნაშთი, ათასი ლარი



ეროვნული  
უცხოური

წყარო: საქ. ეროვნული ბანკის ინტერაქტიული სტატისტიკა

დიაგრამის პერიოდი აღებულია 2018 წლის იანვრიდან დღემდე, როგორც ვხედავთ დეპოზიტების მაჩვენებელი მზარდია. თავის მაქსიმუმს მიაღწია 2021 წლის მარტში და შეადგინა 36,191,721 ექვივალენტი ლარში (ლარი - 13,223,460 უცხოური ვალუტა - 22,968,261 ). დიაგრამიდან თვალსაჩინოდ ჩანს ის, რომ მოთხოვნა უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების ყოველთვის უფრო მეტია ვიდრე ეროვნულ

ვალუტაში, რაც გარკვეულწილად განპირობებული ინფლაციის მაღალი მაჩვენებლით.


35

ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის, თუ რამდენად მზარდია მოთხოვნა სესხებზე . დიაგრამის საფუძველზე უფრო მარტივი აღსაქმელია ეს ყველაფერი.

**დიაგრამა №8**

**კომერციული ბანკების მიერ გაცემული სასესხო პროდუქტები 2015-2021 წლებში**

ნაშთი, ათასი ლარი




წყარო: საქ. ეროვნული ბანკის ინტერაქტიული სტატისტიკა

როგორც დეპოზიტებზე, ანალოგიურად სესხებზეც წლებთან ერთად იზრდება მოთხოვნა სასესხო პროდუქტებზე, ამ ჭრილში ლიდერის პოზიცია უჭირავს ბიზნეს სექტორს, რომელსაც ბიზნესსაქმიანობის განვითარებისათვის ჭირდება რესურსების მოპოვება, ხშირ შემთხვევაში მოკლე და გრძელვადიანი კრედიტის სახით. სწორედ ბიზნეს სექტორის ეფექტური საქმიანობა ახდენს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას, რაც ქვეყნისათვის დადებით შედეგს იძლევა.

<sup>35</sup> ინტერაქტიული სტატისტიკა კომერციული ბანკების მიერ გაცემული სასესხო პროდუქტების შესახებ [https://analytics.nbg.gov.ge/views/8/sheet0?iframeSizedToWindow=true&embed=y&showAppBanner=false&display\\_count=no&showVizHome=no](https://analytics.nbg.gov.ge/views/8/sheet0?iframeSizedToWindow=true&embed=y&showAppBanner=false&display_count=no&showVizHome=no) გადამოწმებულია:02.08.2021



2021 წლის ივნისის მონაცემები. სესხები პროცენტულად ჩაშლილია სეგმენტების მიხედვით .



წყარო: საქ. ეროვნული ბანკის ინტერაქტიული სტატისტიკა 06/2021 წლის

დიაგრამის საშუალებით ნათლად ვხედავთ რომ ბიზნეს სესხების მოცულობა ბაზარზე გაცემული კრედიტების ჭრილში ყველაზე დიდია და შეადგენს სასესხო სეგმენტის 35%-ს, ხოლო ყველაზე მცირე ოდენობა სესხები გაიცემა ავტო და სალომბარდე მიზნობრიობით.

## თავი III - ინოვაციური ბანკინგის როლი საქართველოში

### 3.1 ელექტრონული საგადამხდელო სისტემები და ელექტრონული ფული

ელექტრონული გადახდის სისტემა, ეს არის გარიგებების განხორციელების ან საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადახდა ელექტრონული საშუალებით, ყოველგვარი ჩეკისა და ფულადი სახსრების გამოყენების გარეშე. მას სხვანაირად გადახდის ელექტრონული სისტემა ან ონლაინ გადახდის სისტემა ეწოდება. ინტერნეტით დაფუძნებული საბანკო საქმიანობის მამტაბურობამ, მზარდმა ტემპმა და ონლაინ შოპინგის პოპულარიზაციამ გაზარდა ელექტრონული გადახდის სისტემაზე მოთხოვნა, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

მსოფლიო, ტექნოლოგიების განვითარების მხრივ ყოველდღიურად სულ უფრო წინ მიიწევს, აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ელექტრონული გადახდის სისტემები და გადახდის საშუალების თითქმის ყველგან. ელექტრონული საგადამხდელო სისტემის მზარდი ტემპი და დახვეწა-გაუმჯობესება უზრუნველყოფს უფრო უსაფრთხო ონლაინ გადახდის ოპერაციებს, აგრეთვე თავიდან გვაშორებს ფულადი ოპერაციებით გამოწვეულ დანახარჯებს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გადახდის ფორმაა საკრედიტო და სადებეტო ბარათები, რაც ინოვაციური ბანკინგის ერთ-ერთი საუკეთესო მხარეა. გარდა ამისა, არსებობს გადახდის ალტერნატიული მეთოდებიც, როგორცაა საბანკო გადარიცხვები, ელექტრონული საფულე, სმარტ ბარათები ან ბიტკოინის საფულე. ელექტრონული გადახდის მეთოდები შეიძლება დაიყოს ორი მიმართულებით: საკრედიტო გადახდის სისტემები და ნაღდი ანგარიშსწორების სისტემები:

საკრედიტო ბარათი - ელექტრონული გადახდის სისტემის ფორმაა, რომელიც მოითხოვს ფინანსური ინსტიტუტის მიერ ბარათის მფლობელისათვის გაცემული ბარათის გამოყენებას გადახდის ონლაინ ან ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით, ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე, მას მეორენაირად პლასტიკურ ბარათსაც უწოდებენ. ელექტრონული გადახდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული

მეთოდია საკრედიტო და სადებეტო ბარათის საშუალებით გადახდების განხორციელება.

ელექტრონული ფულადი სახსრები, არის ელექტრონული გადახდის სისტემის ფორმა, სადაც გარკვეული თანხა ინახება კლიენტის მოწყობილობაზე და ხელმისაწვდომი ხდება ონლაინ ტრანსაქციებისათვის. ელექტრონული ტრანზაქციების პოპულარობა გამოწვეულია იმით, რომ მომხმარებელი დროის დაკარგვის გარეშე, ფაქტიურად წამებში ერთი დაწკაპუნების საშუალებით ახორციელებს ტრანზაქციებს.

მოხერხებულობა - ელექტრონული გადახდების სისტემის მთავარი ღირსებაა, მომხმარებელს ელექტრონული კომერციის სარგებლობისას შეუძლია გადაიხადოს ნივთის ღირებულება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე, იქნება ეს ღამის 3 საათი თუ დღის 1 საათი, სახლი თუ სამსახური. მათ უბრალოდ სჭირდებათ ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობა, ყველაფერი ხომ ასე მარტივია, თუმცა არსებობს რათაც ნაკლოვანებაც, ელექტრონული კომერციის კუთხით თაღლითობა წელიწადში 30% -ით იზრდება. უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში, ასეთი პრობლემები არ უნდა არსებობდეს, მაგრამ როდესაც სავაჭრო ობიექტი ირჩევს გადახდის სისტემას, რომელიც არ არის ძალიან უსაფრთხო, საფრთხე ემუქრება პირადი მონაცემების მოპარვს, რის საფუძველზეც თაღლითობის მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია საკრედიტო და სადებეტო ბარათის გადახდები, არიან ადამიანები, რომლებსაც გადახდის ადგილობრივი მეთოდი ურჩევნია. სწორედ ამიტომ იმ შემთხვევაში თუკი ონლაინ ბიზნესის დაწყებას აპირებს სუბიექტი, საწყის ეტაპზე საჭიროა იმის გარკვევა თუ რა სჭირდება მის სამიზნე აუდიტორიას და ამის საფუძველზე უზრუნველყოს ელექტრონული გადახდის ყველაზე მოსახერხებელი და შესაბამისი სისტემა. <sup>36</sup>

ელექტრონული საგადასახადო სისტემის ტიპები:

---

<sup>36</sup> Article "what is an E-payment System" <https://securionpay.com/blog/e-payment-system/> გადამოწმებულია: 02.08.2021

- ქართული და უცხოური ბანკების Visa /MasterCard პლასტიკური ბარათებით გადახდა.
- ავტომატური გადახდის სერვისით ( ბარათით ერთხელ გადახდის შემდეგ თანხის ავტომატურად ჩამოჭრის ფუნქცია).
- 3D-Secure არის მომხმარებლის უსაფრთხო ავტორიზაციის პროტოკოლი, რომელიც დამატებით ნაბიჯს უმატებს ავტორიზაციის პროცედურას. ჩვეულებრივ, ინტერნეტში ავტორიზაციის პროცედურა ასეთია: თქვენ მიუთითებთ თქვენს გვარს, სახელს, ბარათის ნომერს, ბარათის მოქმედების ვადას და CVC კოდს, რომელიც ბარათის უკანა მხარეს არის მითითებული. 3D-Secure ტექნოლოგიის გამოყენებისას დამატებით მოგიწევთ ერთჯერადი ან მუდმივი პაროლის შეყვანა, რომლის მიღებაც შეგიძლიათ SMS- ით ბანკიდან ან ბანკის ბანკომატით, რომელიც ამ ბარათს გასცემს. ეს არის დაცვა, რადგან მობილური ტელეფონის ნომერი მხოლოდ ბანკის თანამშრომლებისთვის არის ცნობილი. ინტერნეტით ოპერაციის განხორციელებისას გადაცემული ინფორმაცია ინახება ბანკების სერვერებზე და ონლაინ მაღაზიას მასზე წვდომა არ ექნება.

აგრეთვე საინტერესოა საბანკო პროდუქტია „ღია ბანკინგის პროექტი“, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას საკანონმდებლო ჩარჩო, რითაც წახალისებს მაღალტექნოლოგიური ფინანსური სერვისების შექმნას და ამავდროულად კვლავინდებურად უზრუნველყოფს მომხმარებლების ფინანსებისა და ფინანსური ინფორმაციის დაცულობას. იგი წარმოადგენს ფინანსურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უსაფრთხო გზას მასში ჩართული ყველა მხარისათვის. ტრადიციულად, 21 საუკუნეში ფინანსურ ინსტიტუტებს შორის კონკურენცია ეტაპობრივად გადაიზარდა ტექნოლოგიურ კონკურენციაში. ღია ბანკინგის დროს მომხმარებელს ფინანსური სერვისები მიეწოდება არა ერთი, არამედ უკვე ორი მხარის ჩართულობით. ღია ბანკინგის პროცესში მონაწილეობს კომერციული ბანკი, რომელიც მომხმარებლებს უხსნის ანგარიშებს, ეწევა ამ ანგარიშების მომსახურებას და უზრუნველყოფს მომხმარებლის ფინანსებისა და ფინანსური ინფორმაციის დაცულობას.

აგრეთვე მონაწილეობს მეორე მხარე, ე.წ. მესამე მხარის პროვაიდერი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მისწვდეს საკუთარ ანგარიშებს, რომელიც ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერთანაა გახსნილი. ღია ბანკინგი ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლას გულისხმობს სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციას შორის, რათქმაუნდა მომხმარებლის ინიციატივით. მას დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია როგორც მომხმარებლებისთვის, ისე მთელი საფინანსო სექტორისათვის. იგი ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობის ეფექტურად გამოყენებით აუმჯობესებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ზრდის ჯანსაღ კონკურენციას. საქართველოში 2020 წლის სექტემბერში ღია ბანკინგის კომიტეტმა შეიმუშავა პირვანდელი დოკუმენტის ვერსია, რაშიც გაწერილია ის წესები და სტანდარტები, რომელთა დაცვითა და გამოყენებით კომერციულმა ბანკებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ მათი მომხმარებლების შესახებ ინფორმაცია ( ანგარიშებზე არსებული ნაშთები; ინფორმაცია ტრანზაქციების შესახებ ). ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ღია აპლიკაციის ინტერფეისების (API) გამოყენებით ონლაინ რეჟიმში, მხოლოდდამხოლოდ მომხმარებლის სურვილის/თანხმობის შემთხვევაში.<sup>37</sup>

ელექტრონული საგადახდო სისტემის წახალისების მიზნით ბევრმა ქვეყანამ გაატარა სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებები განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

1) 2003 წელს მექსიკაში შექმნილმა ფონდმა, დაფინანსა მცირე და საშუალო ზომის მაღაზიები, ამ ფონდმა აღჭურვა მაღაზიები პოს-ტერმინალებით. ამ პროექტის განხორციელებამ 5 წლის განმავლობაში პოსტერმინალების 200%-იანი და ტრანზაქციების 300%-იანი ზრდა გამოიწვია. ამ პროექტის პარალელურად მიმდინარეობდა გათამაშება „BOLETAZO” ლატარეის, რომელიც მიზნად ისახავდა ობიექტებში ბარათებით გადახდებზე მომხმარებლების წახალისებას, საბოლოო ჯამში გათამაშებული იყო 3000-ზე მეტი ავტომატქანა. მექსიკის მთავრობამ მოტივაცია შეუქმნა

<sup>37</sup> ეროვნული ბანკის სტატია ღია ბანკინგის შესახებ <https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98> გადამოწმებულია:02.08.2021

ბანკებს პოს-ტერმინალების ქსელის გაფართოებაზე მცირე და საშუალო სავაჭრო ობიექტებში, პოს-ტერმინალების რაოდენობა 140 ათასიდან გაიზარდა 550 ათასამდე. მექსიკის ცენტრალურმა ბანკმა, აგრეთვე ბანკებთან კომუნიკაციის შედეგად, მიაღწია ურთიერთგაცვლის საკომისიოს დაწევას, რამაც გამოიწვია იმ სავაჭრო ობიექტების რაოდენობის სწრაფი ზრდა, რომლებიც იღებდნენ გადახდებს ბარათების საშუალებით.

2) 2010 წელს პოლონეთში მთავრობის პოლონეთის ბარათების მიმღები მოწყობილობების გაორმაგება დაიგეგმა, ამ პროექტის დაფინანსებლად გამოვიდნენ ვიზა-პოლონეთის წევრების და რომლის მიზანიც იყო მცირე ქალაქებსა და სოფლებში საშუალო ზომის საცალო მომსახურების/ვაჭრობის ობიექტებში ვიზას და სხვა სისტემების ბარათების მიმღები ქსელის გაფართოება, აგრეთვე არსებული ტერმინალების განახლება. ამ პროექტის ფარგლებში 120 000 ახალი პოს-ტერმინალი იყო რეგისტრირებული, ძირითადად ისეთ ობიექტებში, სადაც გადახდები **ქემად** ხორციელდებოდა. შედეგად, 2010- 2013 წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკა შემცირდა 26%-დან 23.8%-მდე.

3) ბელგიაში პოს-ტერმინალებით აღიჭურვა დიდი სატრანსპორტო კომპანიების ტაქსები, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკით ხასიათდება, თუმცა ჯერ-ჯერობით პროექტის შედეგები უცნობია ვინაიდან განხორციელების პროცესშია.

4) სამხრეთ კორეაში - თუკი მოსახლეობის შემოსავლის 20%-ს გადაიხდიდნენ საკრედიტო ბარათით, ხოლო 25%-ს სადებეტოთი, ისინი შეძლებდნენ გადახდილი თანხის გარკვეული ოდენობის უკან დაბრუნებას. ამ ყველაფერმა შემდეგი შედეგი გამოიღო - 1990-იანი წლების დასაწყისში საბარათე ტრანზაქციები კერძო მოხმარების ხარჯების 5% იყო, 2000 წელს ამ მაჩვენებელმა 25%-ს, ხოლო 2009 წელს 50%-ს მიაღწია.

2010 წლის კვლევების საფუძველზე გამოვლენილი იქნა თუ რა იწვევს ქვეყნებში უნაღდო ანგარიშსწორების დაბალ მაჩვენებელს ესენია: გადახდების ინიცირებისა და მიწოდების არხების ნაკლებ ეფექტური და სწრაფი დონე; მოსახლეობის თანამედროვე საგადახდო ინსტრუმენტებზე თავისუფალი წვდომის არ არსებობა და შემეცნების დაბალი დონე; საბანკო სექტორში კონკურენციის დაბალი დონე, რაც იწვევს მაღალ

ფასებსა და მომსახურების ლიმიტირებულებას; ეროვნული საგადახდო სისტემების რეფორმებისადმი ნაკლები ყურადღების გამოვლენა და საბოლოო ჯამში ეს გამოწვეული იყო კერძო ორგანიზაციების მიერ ნაღდი გადახდებისადმი უპირატესობის მინიჭებით.<sup>38</sup>

ელექტრონული საგადახდო სისტემისა და ელექტრონული ფულის განხილვისათვის ყველაზე მეტად გამოგვადგება შვედეთის მაგალითი, ვინაიდან ახლანდელი ეკონომიკური სისტემა შვედეთში კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლით ხასიათდება. შვედეთის ცენტრალურმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც იგი ერთგვარ პიონერად აქცია საკრედიტო ბაზრის რეგულირების სფეროში. 2009 წლის ივლისიდან რეგულატორმა შემოიღო საბანკო დეპოზიტების უარყოფითი განაკვეთები. შვედეთის ცენტრალური ბანკის მიერ გაცემულ სესხებზე განაკვეთი არის პლუს 0.75%, ხოლო დეპოზიტებზე - მინუს 0.25%. ამრიგად, შვედეთის ცენტრალური ბანკი გახდა ერთადერთი ცენტრალური ბანკი მსოფლიოში, რომელიც, ფაქტობრივად, აჯარიმებს ბანკებს, რომლებიც ფლობენ დეპოზიტურ ფულს. უარყოფითი დეპოზიტის განაკვეთის შემოღების მიზეზი იყო „საკრედიტო შიმშილი“, რომელმაც გავლენა მოახდინა შვედეთზე. შვედეთის ორიგინალურობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, როგორც ვიცით 21-ე საუკუნისათვის ბანკნოტებისა და მონეტების გამოყენება საზოგადოებაში მცირდება. ამავე დროს, ტექნოლოგიური წინსვლა ელექტრონულ ფულთან და გადახდის მეთოდებთან დაკავშირებით სწრაფად მიმდინარეობს. რიკსბანკი (შვედეთის ცენტრალური ბანკი) ხედავს პოტენციურ პრობლემებს ფულადი სახსრების მარგინალიზაციასთან დაკავშირებით და ამიტომ წამოიწყო პროექტი შვედური კრონისათვის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ, წინადადება შემუშავებულია.

ელექტრონული ფორმით, რომელიც ცნობილია როგორც „ელექტრონული ქრონა“. პროექტი 2017 წელს დაიწყო და e-krona პროექტის ფარგლებში, Riksbank-მა გაანალიზა, რომ საჭიროა e-krona ამიტომ 2019 წელს რიკსბანკმა გადაწყვიტა ელექტრონული ქრონის შემუშავება საცდელ გარემოში. ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადაწყვეტილება გაიცეს

<sup>38</sup>სტატია „საგადახდო (გადახდების) სისტემა და მისი მნიშვნელობა [https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014\\_3/1.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_3/1.pdf) გადამოწმებულია:02.01.2021

თუ არა, ელექტრონული ქრონი, მაგრამ რიქსბანკი იძიებს ელექტრონული ქრონის გაცემის შესაძლებლობებს კომპეტენციის გაზრდის მიზნით და ამ გზით იგი მზად იქნება ციფრული გადახდის ახალი ბაზრის დაკმაყოფილებისათვის.<sup>39</sup>

შვედეთში ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, უკვე ამჟამად საშუალოდ ხუთიდან ოთხი შესყიდვის შემთხვევაში, გადახდა ელექტრონული ან ბარათების საშუალებით ხორციელდება. გამოცემის ინფორმაციით, შვედეთში ელექტრონული გადახდები ჰეგემონიურ მდგომარეობაში გახლავთ. ქუჩაში ხილით, ბოსტნეულით და გაზეთებით მოვაჭრეებიც კი ნაღდი ფულის გარეშე ბარათების საშუალებით ვაჭრობენ. ნაღდ ფულზე უარის თქმა შვედეთს მნიშვნელოვან შემოსავალსაც მოუტანს, რადგან დადგენილია, რომ ყოველწლიურად შვედეთის საბანკო სისტემის დანახარჯი ფულის გადამუშავების გამო 1,2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ნაღდი ანგარიშსწორების ნაცვლად ელექტრონული გადახდების დამკვიდრებამ შვედეთში კრიმინალის შემცირებაც გამოიწვია. შვედეთის ბანკების ასოციაციის მონაცემებით, სწორედ ამ მიზეზით 2012 წელს შვედეთში ბანკების დაყაჩაღების მხოლოდ ხუთი შემთხვევა დაფიქსირდა. ნაღდ ფულზე უარის თქმა სულაც არ წარმოადგენს საერთო ევროპულ ტენდენციას. მაგალითად იტალიაში ფულადი ოპერაციების სამი მეოთხედი დღესაც ნაღდი ფულის საშუალებით ხორციელდება. საინტერესოა, რომ არსებული ტენდენციის მიუხედავად შვედეთში ფულის კუპიურას ისეც დიდ პატივს სცემენ. შვედური სოციოლოგიური ინსტიტუტის „Sifo“-ს გამოკითხვით დადგინდა, რომ შვედების ორი მესამედის აზრით, ხელში ნაღდი ფულის დაჭერის საშუალება – ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული ანალიზის თანახმად, დღეს შვედეთის საბანკო სისტემა ყველაზე სტაბილურად ითვლება და მეორე ადგილზეა ტოლია.<sup>40</sup> ამჟამად შვედეთში არის 124 ბანკი, რომელთა შემადგენლობაში შედის 39 კომერციული ბანკი, 36 უცხოური ბანკი, 47 შემნახველი ბანკი და ორი კოოპერატიული

<sup>39</sup> Article "Top banks in Sweden" <https://corporatefinanceinstitute.com/resources/careers/companies/banks-in-sweden/>, checked:02.08.2021

<sup>40</sup> Report "the global competitiveness report 2019" author Klaus Schwab, World Economic Forum [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf), checked:02.08.2020



ბანკი. მიუხედავად იმისა, რომ შვედეთი არ არის ევროზონის ნაწილი, ქვეყნის კომერციული ბანკები გვთავაზობენ ევროდემინირებულ ანგარიშებსა და გადახდის სერვისებს. შვედური საბანკო სისტემა იყოფა ოთხ კატეგორიად, ესენია:

- კომერციული ბანკები;
- უცხოური ბანკები;
- შემნახველი ბანკები;
- კოოპერატიული ბანკები.

რას შეეხება საქართველოს, ჩვენთან 1995 წლის 2 ოქტომბერიდან კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ახალი ქართული ეროვნული ვალუტა „ლარი“. ლარის ნომინალის ბანკნოტებია -1, 2, 5, 10, 20, 50 და 100. რომლებზეც გამოსახულნი არიან:<sup>41</sup>

- 1 ლარზე, რომელიც 2002 წელს ჩაეშვა მიმოქცევაში გამოსახულია გამოჩენილი ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი.
- 2 ლარზე - ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი.
- 5 ლარზე - ქართველი აკადემიკოსის ივანე ჯავახიშვილი.
- 10 ლარზე - ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი.
- 20 ლარზე - ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.
- 50 ლარზე - თამარ მეფე.
- 100 ლარზე - ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

საქართველოში ელექტრონული (უნაღდო) გადახდების, კერძოდ კი, ბარათებით გადახდების ზრდის ხელშემწყობისათვის საჭიროა მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება (ფინანსური განათლება), აგრეთვე ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების წახალისების მიზნით ღონისძიებების დაგეგმა, რათა ამ ყველაფერმა დააჩქაროს ქვეყანაში უნაღდო გადახდების ზრდის ტემპი, როგორც ეს სხვა ქვეყნების

<sup>41</sup> ქართული ფული <https://old.nbg.gov.ge/index.php?m=194> გადამოწმებულია: 02.08.2021

მაგალითზე მოხდა. საქართველოში სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ძირითადი გადახდებისა (ხელფასები საჯარო მოსამსახურეებზე, პენსიები და სხვა) და შემოსავლების ელექტრონული გადახდების სახით განხორციელებით, რამაც უდავოა რომ მნიშვნელოვნად იმოქმედა ქვეყანაში ელექტრონული გადახდების სტატისტიკაზე.<sup>42</sup>

### 3.2 ინოვაციური ბანკინგის პერსპექტივები Covid-19 პანდემიის პირობებში

ყველაფერი 2019 წლის 1 დეკემბერს დაიწყო, როცა COVID-19-ის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, მოგვიანებით მას დაარქვეს SARS-CoV-2. არსებობს ვარაუდი, რომ თავდაპირველად იგი წარმოიშვა ცხოველიდან და მხოლოდ მოგვიანებით გავრცელდა ადამიანებში. თავდაპირველად იგი ვუჰანში, ჩინეთის რესპუბლიკაში აღმოაჩინეს მოგვიანებით კი კორონავირუსმა მსოფლიო მოიცვა და თითოეული ჩვენგანის ცხოვრება ძირფუძეულად შეცვალა<sup>43</sup>. ადამიანებში იგი იწვევს რესპირატორულ სიმპტომებს, ზოგ შემთხვევაში შეილება გავდეს გრიპს ან პნევმონიას, მაგრამ COVID-19-მა შეიძლება ზიანი მიაყენოს სხეულის სხვა ნაწილებსაც. ხანდაზმულებს და მათ, ვისაც აქვს ძირითადი სამედიცინო პრობლემები, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადება, დიაბეტი, ქრონიკული რესპირატორული დაავადებები და კიბო, უფრო მეტად უვითარდებათ სერიოზული დაავადებები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ინფორმაციით, ვირუსი ვრცელდება ძირითადად ნერწყვის წვეთების ან ცხვირიდან გამონადენის შემთხვევაში, როდესაც ინფიცირებული ადამიანი ახველებს და აცემინებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, სუნთქვის დროს პირბადის გამოყენება.<sup>44</sup>

პანდემიამ რათქმაუნდა დიდი ზეგავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკის ტემპზე.

<sup>42</sup> სტატია „საგადახდო (გადახდების) სისტემა და მისი მნიშვნელობა“ ავტორი ნატალია ჭყოიძე [https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014\\_3/1.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_3/1.pdf) გადამოწმებულია:02.08.2021


<sup>43</sup> Article "coronavirus" [https://www.who.int/health-topics/coronavirus#tab=tab\\_1](https://www.who.int/health-topics/coronavirus#tab=tab_1) checked:02.08.2021

<sup>44</sup> Article "Basics of COVID-19" <https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/your-health/about-covid-19/basics-covid-19.html> checked:02.08.2021

COVID-19 პანდემია შემაშფოთებელი სისწრაფით გავრცელდა, მილიონობით ადამიანი დაინფიცირდა და ეკონომიკური საქმიანობა თითქმის გაჩერდა, რადგან ქვეყნებმა დააწესეს მოძრაობის მკაცრი შეზღუდვები ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად. ინფიცირებული ადამიანების რიცხვის ზრდასთან ერთად, ეკონომიკური ზიანი უკვე თვალსაჩინო იყო, რომელიც წარმოადგენს ყველაზე დიდ ეკონომიკურ შოკს, რაც მსოფლიოს ათწლეულების განმავლობაში განუცდია.

დიაგრამა №10

COVID-19-ის შემთხვევები <sup>45</sup>



წყარო: ინტერნეტ სტატისტიკა

2020 წლის ივნისის გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები აღწერს პანდემიის გავლენის უშუალო და უახლოეს პერსპექტივებს და გრძელვადიან ზარალს, რაც მან გამოიწვია ზრდის პერსპექტივის თვალსაზრისით. საბაზისო პროგნოზი ითვალისწინებს გლობალური მშპ-ს 5,2 პროცენტით შემცირებას 2020 წელს, საბაზრო კურსის კუთხით - ყველაზე ღრმა გლობალური რეცესია ათწლეულების განმავლობაში, მიუხედავად მთავრობების არაჩვეულებრივი მცდელობისა, დაძლიონ კრიზისის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მხარდაჭერით. კრიზისი ხაზს უსვამს გადაუდებელი ზომების აუცილებლობას პანდემიის პერიოდში, რათა დაცული იქნას

<sup>45</sup> statistics about coronavirus <https://www.worldometers.info/coronavirus/> checked:02.08.2021

მოსახლეობის ჯანმრთელობა და აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკა. 2020 წელს ქვეყნების უმრავლესობა რეცესიის პროცესში იყო, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები 1870 წლიდან მოყოლებული ქვეყნების უდიდეს ნაწილში შემცირდა. მოწინავე ქვეყნების პროგნოზით ეკონომიკა შემცირდა 7 პროცენტით. განვითარებადი ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი ორმაგად მტკივნეული აღმოჩნდა, ვინაიდან მათი განვითარების პერსპექტივები 2.5 პროცენტით შემცირდა, რაც ბოლო სამოცი წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. ყველა რეგიონი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან შემცირებას ექვემდებარება. აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანე ზრდის ტემპი შემოიფარგლება 0.5%-ით. სამხრეთ აზიის ეკონომიკა დაიკლებს 2.7%-ით, აფრიკა 2.8%-ით, ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა 4.2%-ით, ევროპა და ცენტრალური აზია 4.7%-ით, ხოლო ლათინური ამერიკა 7.2%-ით. მოსალოდნელია, რომ ეს ეკონომიკური ვარდნა გამოიწვევს წლების განმავლობაში მიღწეული განვითარების უკუსვლას და ათეულობით მილიონ ადამიანს ისევ უკიდურეს სიღარიბეში დააბრუნებს. თუ COVID-19-ის ეპიდემიები გაგრძელდება და გაგრძელდება შეზღუდვები მოძრაობის კუთხით ან უფრო გამკაცრდება, გახანგრძლივდება ეკონომიკური საქმიანობის დარღვევა, რეცესია შესაძლოა უფრო მეტად გაღრმავდეს, ბიზნესს გაუჭირდეს ვალის მომსახურება, რისკის მოზღვავებამ შეიძლება გამოიწვიოს სესხის აღების ხარჯების გაზრდა, ხოლო გაკოტრებებმა და ფინანსურმა კრიზისმა შეიძლება მრავალი ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენოს. ამ უარყოფითი სცენარის თანახმად, გლობალური ზრდა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს.<sup>46</sup>

ბანკები უკვე რამდენიმე წელია ახდენენ ციფრული შესაძლებლობების პოპულარიზაციას, თუმცა Covid კრიზისმა ეს საკითხი წინა პლანზე წამოწია, რაც საბოლოო ჯამში მოითხოვს მოლოდინების, ვადებისა და გამოყენების მოცულობის სწრაფ კორექტირებას ანუ სწრაფ რეაგირებას. შედეგად, ბანკები იძულებულნი არიან

<sup>46</sup>Article "The Global Economic Outlook During the COVID-19 Pandemic :A Changed World  
<https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/06/08/the-global-economic-outlook-during-the-covid-19-pandemic-a-changed-world>  
checked:02.08.2021

უფრო სწრაფად გაუმკლავდნენ ონლაინ გამოწვევებს, მათ შორის უსაფრთხოების, კლიენტებთან კომუნიკაციის და მომხმარებელთა შეცვლილი მოთხოვნით გამოწვეულ სირთულეებს. პანდემია გარდამტეხი გამოცდილება აღმოჩნდა ბანკებისთვისაც, პერსონალური მომსახურების შეზღუდვის გამო, ისინი იძულებულნი გახდნენ სწრაფად მოეხდინათ ონლაინ სერვისების გაფართოება. შედეგად, მომხმარებელთა დიდი ნაკადი, რომლებიც ადრე ასრულებდნენ თავიანთ საბანკო მომსახურებას ფილიალებში, პანდემიის პერიოდში გადავიდნენ ციფრულ ბანკინგზე. აგრეთვე საბანკო სექტორში დასაქმებული ბევრი ადამიანი დაინფიცირების რისკის შემცირებისათვის გადავიდა დისტანციურ ონლაინ სამუშაო რეჟიმზე. ბანკებისთვის ეს ცვლილებები, ნიშნავს ციფრული სერვისების გაფართოების შესაძლებლობას და აგრეთვე დანახარჯების შემცირებასაც. პანდემიის დაწყების დღიდან, უფრო მეტმა მომხმარებელმა, ისარგებლა ონლაინ საბანკო მომსახურებით, პანდემიის გავლის შემდეგაც ბანკებს სურთ ეს მაჩვენებელი მზარდად იქნას შენარჩუნებული. განახლებული მონაცემების თანახმად მომხმარებელთა 35% -მა გაზარდა ჩართულობა ონლაინ ბანკინგში Covid კრიზისის დროს, ეს მაჩვენებელი რომელიც მოსალოდნელი იყო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდა სულ რაღაც რვა კვირის განმავლობაში. Covid-19 ბანკები აიძულა დაენერგათ ციფრული ტექნოლოგიები, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იქნებოდა დაენერგილი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- გაზრდილი უსაფრთხოება - კიბერუსაფრთხოებაში ბანკებმა ჩადეს უზარმაზარი თანხები, ციფრული ტრანზაქციების ზრდასთან ერთად მით მეტია შანსი თაღლითური საქმიანობის მსხვერპლად ყოფნის, ამიტომ ბანკები სულ უფრო ცდილობენ დაიცვან მომხმარებელთა და თანამშრომელთა მონაცემები, მუდმივად განვითარებადი თავდასხმის ლანდშაფტის ფონზე.
- ციფრული გამოცდილების გაუმჯობესება - მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ადამიანი თავს ძალიან კომფორტულად გრძნობდა ონლაინ ბანკინგის გამოყენებისას, მრავლად არსებობდნენ ადამიანები რომელთაც ერჩივნათ ფილიალში მისვლა სხვადასხვა საბანკო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სწორედ პანდემია აღმოჩნდა ის მახიმგებელი ძალა, რომელმაც შეცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება ციფრული ბანკინგის შესახებ და იგი მეტად პოპულარული გახდა.<sup>47</sup>

პანდემიის პერიოდში სულ უფრო მეტად ჩნდება ინოვაციის საჭიროება და ბანკები სწრაფად პასუხობენ ამ მოთხოვნებს, ბევრი ტექნოლოგია და ინოვაცია, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ფინანსური ცხოვრების ნაწილი გახდა, წარმოიშვა უახლესი გლობალური მოვლენების შედეგად მაგალითად ანაბრის ონლაინე გახსნა, ონლაინ სესხის მოთხოვნა და ა.შ

ციფრული ტრანსფორმაცია წლების განმავლობაში საბანკო ინდუსტრიის მთავარი სიტყვა იყო. მიუხედავად ამისა, ციფრული ორგანიზაციების რეალური მნიშვნელობა არასოდეს ყოფილა ისეთი მკაფიო, როგორც COVID-19 პანდემიის ადრეულ კვირებში, როცა ყველანი იძულებულნი ვიყავით ვმჯდარიყავით სახლში. პანდემიამ გამოავლინა იმ ბანკებისთვის დაუცველი პოზიცია, რომლებიც არ იყვნენ მზად ციფრულ გარემოში მუშაობისათვის.<sup>48</sup>

COVID-19 არის ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელსაც მსოფლიო აწყდება ათწლეულების განმავლობაში. მან შეცვალა ადამიანების ცხოვრება უპრეცედენტო მასშტაბით, გავლენა მოახდინა ყველა ინდუსტრიაზე და შეაჩერა ბანკების ამბიციები ზრდისა და ინოვაციების ჭრილში, გავლენა იქონია მათ შემოსავლებსა და მოგებაზე, მათი მომხმარებლების ქცევაზე და მათ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთანაც პანდემიის პერიოდში სულ უფრო მეტი ადამიანი იყენებს ონლაინ ბანკინგს თავისი ფინანსების მართვისათვის, ფილიალში მისვლის გარეშე ხორციელდებოდა სასესხო პროდუქტებზე ცვლილებების განხორციელება, იყო ეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილება თუ საშეღავათო

---

<sup>47</sup> Article "Covid Has Catalyzed Banking Innovation: The Challenges and Opportunities that Remain " author Moises Cohen <https://www.finextra.com/blogposting/19714/covid-has-catalyzed-banking-innovation-the-challenges-and-opportunities-that-remain> checked:02.08.2021

<sup>48</sup> Article "The digital innovation opportunities for banks in times of crisis" author Anaël Hartman , Jordan Sternlieb , Steve Purvis <https://www.westmonroe.com/perspectives/point-of-view/digital-innovation-for-banks-in-times-of-crisis> checked: 02.08.2021

პერიოდით სარგებლობა. საბუთებზე ხელწერის დასტური ხორციელდებოდა ღილაკზე ერთი თითის დაჭერით ან მაილზე დასტურის მიწერის გზით, აღნიშნულმა ღონისძიებებმა იმ პერიოდში მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო პანდემიასთან ბრძოლის საკითხში, კერძოდ დღითიდღე მცირდებოდა ინფიცირებულთა რიცხვი, ვინაიდან ფიზიკური კავშირი არ ხორციელდებოდა მომხმარებლებსა და ბანკის თანამშრომლებს შორის. ამდღა ცნობიერება ინტერნეტ ბანკის მოხმარების თვალსაზრისით, ასაკიანი ადამიანებიც კი ითხოვდნენ ონლაინ ბანკის გახსნას ინფიცირების რისკის შემცირების გამო.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის რეფორმებს, ეროვნული ბანკი მუშაობს პროექტზე „ციფრული ლარი“, რომლის შექმნის აუცილებლობაც დაგვანახა პანდემიამ. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის აზრით ციფრული ლარი უკეთესადაც მოერგება ციფრულ ეკონომიკას და იგი მონეტარული პოლიტიკის კონტროლის შენარჩუნების უკეთესი საშუალება იქნება. ციფრული ლარი ცენტრალიზებული ვალუტა თუმცა კრიპტოვალუტის ერთგვარი სახეა. მას გამოუშვებს საქართველოს ეროვნული ბანკი და ნაღდი ფულის მსგავსად, იგი გადახდის საშუალება იქნება. რათქმუნდა ციფრულ ლარს ელექტრონული ფორმა ექნება და იგი უზრუნველყოფს მხარეებს შორის უკონტაქტო სწრაფ გაცვლას. მის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისი გამოშვება ცენტრალურ ბანკს ბევრად იაფი უჯდება. არსებობს მოსაზრება, რომ ციფრული ვალუტა შესაძლოა, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდეს ფინანსური ეკოსისტემისათვის და საკმაოდ დიდი გავლენა იქონიოს კერძო ინოვაციებისა და ახალი ფინანსური ტექნოლოგიების შექმნაზე აგრეთვე მან უნდა დააჩქაროს ეკონომიკური განვითარების პროცესებიც. ეროვნული ბანკი ციფრული ლარის გამოშვებას 2022 წლის ზაფხულიდან გეგმავს, მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება გადახდა, დაგროვება, სესხის აღება და ა.შ. <sup>49</sup>

---

<sup>49</sup> სტატია „რა არის ციფრული ლარი“ <https://businessfeed.ge/ra-aris-tsiphruili-lari/> გადამოწმებულია:02.08.2021

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნული ინფორმაციით, ცხადი ხდება, რომ კომერციული ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები ინოვაციების ხარჯზე შეძლებენ ფინანსურ გამოწვევებთან გამკლავებას, აგრეთვე მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. აგრეთვე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები და ხელშემწყობი პროექტები, რომლებიც კავშირშია ციფრულ ეკონომიკასთან, შესაბამისად ქვეყნის განვითარების ინოვაციური სცენარის განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე, მის მიერვე უნდა იქნას განსაზღვრული ინოვაციური სფეროს პროგნოზირებისა და განვითარების გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი პროგრამები, ინოვაციური ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მიზნით.

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ათვისების კუთხით საქართველოს საბანკო სისტემა ეკონომიკის ერთ-ერთი მოწინავე სექტორია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან მომსახურებას, რომელიც გამოიხატება დისტანციური საბანკო მომსახურების არხების განვითარებით, უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამომხმარებლო სერვისებით, სისტემებითა და პროცესებით, უსაფრთხოებითა და მოქნილობით, აგრეთვე მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტების და მომსახურების წარდგენით. მათი წარმატების ერთ-ერთი მახიძგებელ ძალას ის წარმოადგენს, რომ კომერციული ბანკები მუდამ სიახლის ძიებაში არიან, რაც საბოლოო ჯამში დადებითი ეფექტით ისახება ბანკსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის საკითხში. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამიტომ ინოვაციები ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას სასიცოცხლოდ აუცილებელიც კია. მზარდი კონკურენციისა და რესურსების შეზღუდულობის პირობებში, ორგანიზაციებს ესაჭიროებათ ახალი ტექნოლოგიები, რათა გაუმკლავდნენ საბაზრო სირთულეებს, მათ შორის მსხვილი ფირმების კონკურენციას, კონკურენტუნარიანი საბანკო სექტორი კი ხელს უწყობს ეკონომიკის ლიკვიდურობას, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი ფაქტორია კაპიტალის დაგროვების, ეკონომიკურ ზრდისა და დასაქმების.



მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19 პანდემიის ფონზე შემცირდა მსოფლიო ეკონომიკა და ვაჭრობა, ელექტრონული კომერციაზე მოთხოვნა გაიზარდა, რისი მთავარი წყარო გახლდათ ციფრული-დიგიტალური ეკონომიკის განვითარება და ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრება. რათქმაუნდა ელექტრონული კომერცია ვერ განხორციელდება ინტერნეტის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ონლაინ-გადახდების გარეშე, სწორედ აღნიშნულ პროცესში აქტიურ და აუცილებელ როლს ასრულებს კომერციული ბანკების ინოვაციური სერვისები, შესაბამისად, კოვიდ-19 პანდემიამ უფრო მეტად დაგვანახა საჭიროება ელექტრონული ფულისა და ონლაინ გადახდების. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ, მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველოს საბანკო სექტორი კიდევ უფრო მეტი ინოვაციებით და სიახლეებით შეხვდება ასეთ კრიზისებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სექტორი ადვილად ითვისებს საერთაშორისო ინოვაციებს, ამაზე მეტყველებს, საქართველოს მოსახლეობის ჩართულობა და ადაპტირება ონლაინ გადახდებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეზიდენტების უმრავლესობა ფლობს სადებეტო ან საკრედიტო ანგარიშებს, ფინანსური განათლება საქართველოში არ არის მაღალი, რაზეც მეტყველებს მოსახლეობის ჭარბვალიანობა, აღნიშნული პროცესი რათქმაუნდა უფრო მეტად დაამძიმა ონლაინ სესხების გაცემამაც, ამიტომაც, საქართველოს ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები უნდა ცდილობდნენ ასეთი მომსახურების გაწევისას მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს მომხმარებელი, რადგან გაადვილდეს იქნას რისკების შეფასების პროცესი, რაც რთულად მისაღწევია.

სახელმწიფომ ონლაინ გადახდების წახალისების მიზნით უნდა შემოიღოს მასტიმულირებელი ანდა წამახალისებელი პროგრამები, ეს შეიძლება იყოს პრიზის გათამაშება, ონლაინ გადახდილი თანხის პროცენტის დაბრუნება, საჯარო მომსახურების მიღება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით და სხვ.

## ბიბლიოგრაფია

- 1) საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ  
[https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update\\_kanonebi/kombank.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/update_kanonebi/kombank.pdf)
- 2) კანონი „ საქართველოს კანონი თამასუქების შესახებ“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30286>
- 3) პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშგება <https://old.nbg.gov.ge/index.php?m=672>
- 4) მონაცემები „ საქართველოში ემიტირებული ბარათებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ“ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>
- 5) ქართული ფული <https://old.nbg.gov.ge/index.php?m=194>
- 6) Книга „конкуренция“ <http://213.230.96.51:8090/files/ebooks/Iqtisodiyot/%D0%9F%D0%BE%D1%80%D1%82%D0%B5%D1%80%20%D0%9C.%20%D0%9A%D0%BE%D0%BD%D0%BA%D1%83%D1%80%D0%B5%D0%BD%D1%86%D0%B8%D1%8F%202005.pdf> Портер Майкл, Э. "Конкуренция". Пер. с англ.-М. Издательский дом "Вильямс" 2005 пересмотрено 02.08.2021
- 7) article, „**what is digital economy?**“, <https://www2.deloitte.com/mt/en/pages/technology/articles/mt-what-is-digital-economy.html>
- 8) Article „information in the digital economy “ <https://www.ukessays.com/essays/information-technology/information-in-the-digital-economy-the-digital-information-technology-essay.php>
- 9) Article „the digital information economy “ <https://www.ukessays.com/essays/information-technology/information-in-the-digital-economy-the-digital-information-technology-essay.php>
- 10) Article „ digital economy “ <https://searchcio.techtarget.com/definition/digital-economy>
- 11) <sup>1</sup>სტატია „ბლოკჩეინ ტექნოლოგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო“ ავტორი: ლელა მამალაძე  
<http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=1017&title=%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9C%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D>
- 12) Article “how does bitcoin work?” <https://bitcoin.org/en/how-it-works>
- 13) Essey “artificial inteligence” <https://www.toppr.com/guides/essays/artificial-intelligence-essay/>  
checked :02.08.2021

Article “what is digital technology”<https://honestproscons.com/what-is-digital-technology-25-best-examples/>

14) სტატია „1 კბ შეიცავს. ბაიტი, ბიტი, კილობიტი - რომელთაგან რამდენია? სად გამოიყენება ეს მნიშვნელობები?“

<https://130km.ru/ka/socialnye-seti/1-kb-soderzhit-baity-bity-kilobity---skolko-chego-v-chem-gde-ispolzuyutsya/>

15) Article “ top 10 tech companies in the world 2021 “ <https://www.sportshubnet.com/top-10-tech-companies-in-the-world-2021/>

16) Article about “amazon.com” author Mark Hall <https://www.britannica.com/topic/Amazoncom>

17) Article “apple history”<https://www.applemuseum.com/en/apple-history>

18) Article “Samsung Electronics' operating profit posts double-digit growth in 2020

[http://www.xinhuanet.com/english/2021-01/28/c\\_139704262.htm](http://www.xinhuanet.com/english/2021-01/28/c_139704262.htm)

19) Article “Samsung Electronics' operating profit posts double-digit growth in 2020

[http://www.xinhuanet.com/english/2021-01/28/c\\_139704262.htm](http://www.xinhuanet.com/english/2021-01/28/c_139704262.htm)

20) article **Foxconn Technology Group's (Hon Hai Precision Industry) net income worldwide from 2005 to 2019** author Thomas Alsop “<https://www.statista.com/statistics/543848/worldwide-net-income-of-foxconn-electronics/>

21) სტატია : კომერციული ბანკი“<https://www.finedu.gov.ge/ge/komertsiuli-banki-1>

22) სტატია „რა არის ეკონომიკა“ ავტორი ლადო პაპავა <https://www.gfsis.org/files/my-world/1/ekonomika.pdf>

23) სტატია „საქართველოს და კომერციული ბანკების ეკონომიკური ზრდის შედარება“ ავტორი იზოლდა

ქილაძე [https://www.researchgate.net/publication/324485801\\_sakartvelos\\_da\\_komertsiuli\\_bankebis\\_ekonomikuri\\_zrdis\\_shedareba](https://www.researchgate.net/publication/324485801_sakartvelos_da_komertsiuli_bankebis_ekonomikuri_zrdis_shedareba)

24) სტატია“ ინოვაციები , როგორც წარმატებული ბიზნესის საფუძველი „ავტორი : ნოდარ ხადური

<http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASHcefbf3ffddd64255675b39.11.1;jsessionid=B2703C5EAFD4E4AC46FA13EE9E8396B0>

25) article “ How growing competition is driving innovation in the banking industry”

<https://www.newtimes.co.rw/section/read/220583>

26) Article “what is an E-payment System” <https://securionpay.com/blog/e-payment-system/>

27) ეროვნული ბანკის სტატია ღია ბანკინგის შესახებ

<https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98>

28) სტატია „საგადახდო (გადახდების) სისტემა და მისი მნიშვნელობა

[https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014\\_3/1.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_3/1.pdf)

29) Article”Top banks in

Sweden”<https://corporatefinanceinstitute.com/resources/careers/companies/banks-in-sweden/>

30) სტატია „საგადახდო (გადახდების) სისტემა და მისი მნიშვნელობა“ ავტორი ნატალია ჭყოიძე

[https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014\\_3/1.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_3/1.pdf)

31) Article”coronavirus”[https://www.who.int/health-topics/coronavirus#tab=tab\\_1](https://www.who.int/health-topics/coronavirus#tab=tab_1)

32) Article “**Basics of COVID-19**

<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/your-health/about-covid-19/basics-covid-19.html>

33) Article “**The Global Economic Outlook During the COVID-19 Pandemic :A Changed World**

<https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/06/08/the-global-economic-outlook-during-the-covid-19-pandemic-a-changed-world>

34) Article “Covid Has Catalyzed Banking Innovation: The Challenges and Opportunities that Remain “

author Moises Cohen <https://www.finextra.com/blogposting/19714/covid-has-catalyzed-banking-innovation-the-challenges-and-opportunities-that-remain>

35) Article “The digital innovation opportunities for banks in times of crisis” author Anaël Hartman ,

Jordan Sternlieb , Steve Purvis <https://www.westmonroe.com/perspectives/point-of-view/digital-innovation-for-banks-in-times-of-crisis>

36) სტატია „რა არის ციფრული ლარი“ <https://businessfeed.ge/ra-aris-tsiphruili-lari/>